# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუპილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 ივლისი, 2010 წელი.

№125 (6491)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რა ახალ იმედებს სახავს ჰილარი კლინტონის ერთდღიანი ვიზიტი?



რატომ გაანაწყენა კლინტონმა ქართული ინტელიგენცია? 8

ჰილარის მიერ ნაწინასწარმეტყველები ოქროს ხანა და მისით მოხიბლული „ბიბლიოთეკელი ქალბატონები“ 2

5 საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა დავით აღმაშენებლიდან მეოცე საუკუნემდე

რატომ ესხმის თავს ერთმანეთში შეუთანხმებელი 3 ოპოზიცია „ქართულ აკადემიას“?!

როგორ გახდა საქართველო გარდამავალ-ჰიბრიდული ქვეყანა,

ანუ რას გვეუბნება „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევა 3

ამბავი ერთ-ერთი ჯერჯერობით გადარჩენილი ფერადი რევოლუციისა 8

კაცს პანსიონატი და სამი კოტეჯი წაართვეს, კვიციანის მეგობარი რატომ ხარობ? 6



როცა ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი კი — კომფორტულ მომსახურებას 6

როცა ყოველ საქმეს სისხლისა და სიკვდილის სუნი ასდის 7

როცა მეცნიერები ხუმრობენ, ანუ სახალისოდ, ჭკუის სასწავლად 9

სტუმარი

# ჰილარიმ ოქროს ხანა გვიწინასწარმეტყველა

**იმ მილიონობით გადაწყვეტილებაში, რომელსაც ყოველდღიურად მსოფლიოში იღებენ, საქართველოს მომავალი უკვე გადაწყვეტილია, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართველ ლიდერ ქალებთან შეხვედრაზე.**

— მე ვნახე, რომ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, თუ როგორ ცდილობენ ქვეყნები გაუმკლავდნენ მსგავს სიძნელეებს, დაწყებული ბალკანეთიდან გაგრძელებული აფრიკაში ადამიანებისათვის სახლის არარსებობის პრობლემით, მაგრამ ის, რასაც მე საქართველოში ვხედავ, ჩემს გულს ძალიან ხვდება. ცვლილებებისთვის მზაობა ძალიან რეალურია და მე ვიცი, რომ ეს ხდება იმ განგრძობითი ძალისხმევის შედეგად, რომელთაც მოქალაქეები და ლიდერები, მამაკაცები და ქალბატონები ერთად ახორციელებენ, — განაცხადა კლინტონმა.

მისივე თქმით, საქართველოს მოქალაქეების კრეატიულობა და ენერგია, არის ის, რაც საბოლოო ჯამში მოახერხებს ქვეყნის მნიშვნელოვანი როლის განხორციელებას.

XXI საუკუნეში შესაძლებელია ახალი ოქროს ხანა დადგეს საქართველოში, — განაცხადა ჰილარიკლინტონმა.

— ამერიკული პრესის წარმომადგენლებმა, რომლებიც დღეს ჩემთან ერთად იმყოფებიან, შეიძლება არ იციან, რომ მეფე თამარი იყო ქალბატონი, რომელიც საქართველოს ოქროს ხანაში მართავდა ქვეყანას. ვფიქრობ, რომ XXI საუკუნეში შესაძლებელია ახალი ოქროს ხანა დადგეს საქართველოში. აუცილებელია, რომ განხორციელდეს ევროპასთან დაახლოების პროგრამები, ნატოსთან დაახლოების პროგრამები და ისეთი ღონისძიებები, რომელიც კიდევ უფრო დააახლოვებს ქართველ ლიდერებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან იურისპრუდენციის მიმართულებით და სხვა მიმართულებით. მე ვხედავ აქ ქალბატონებს, რომლებიც ამ ცვლილებებს ყოველდღიურად ახორციელებენ, — განაცხადა კლინტონმა.

ჰილარი კლინტონმა ასევე განაცხადა, რომ კმაყოფილია იმით, რომ მაშინ, როცა აშშ ზეიმობს თავის დამოუკიდებლობას, თავად იმ ქვეყანაში იმყოფება, რომელსაც აქვს უნიკალური ისტორია და ასობით წელს ითვლის.

— განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ბოლო 20 წელი, რაც საქართველოში ხდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყნის პოტენციალი არის ის, რამაც უნდა იმუშაოს, როგორც მოდელმა დემოკრატიისათვის. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ყოველდღიური ცვლილებები, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. ვარდების რევოლუცია იყო ის წყალგამყოფი, რამაც გამოყო საქართველო და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ეს არ არის არშემდგარი



ქვეყანა. საქართველოს ქალებისთვის ეს თქვენი მომენტია. თქვენ მუშაობთ იმისთვის, რომ დაამყაროთ დემოკრატიული ინსტიტუტები და არასამთავრობო სექტორი, რომ უზრუნველყოთ კანონის უზენაესობა, გაამყაროთ საფუძველი საქართველოს მომავლისთვის. ამ გზაზე, რა თქმა უნდა, საქართველოს უწევს გარკვეულ მოვლენებთან შეხება, როგორიც არის საქართველოში შემოჭრა და ოკუპაცია. ამ თემების გარდა, არის პრობლემური სფეროები, რომლებზეც თქვენ მუშაობთ და როგორიც არის, მაგალითად განათლება, ჯანდაცვა. თქვენ მუშაობთ იმისათვის, რომ თქვენი ნათესავები და ახლობლების ცხოვრება უკეთესი გახდეს, — განაცხადა კლინტონმა.

**გუშინ საღამოს ქალბატონი ჰ. კლინტონი თბილისიდან გაემგზავრა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ოპოზიცია ჰილარი კლინტონის ვიზიტს ეხმიანება

**გუშინ თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი პირველ რიგში ქართველი პოლიტიკისა და საზოგადოების ლიდერ ქალბატონებს შეხვდა. რა თქმა უნდა, ეს ჟესტი მისი მხრიდან ნიშანდობლივია და უნდა ითქვას, რომ ჰილარი კლინტონმა ამ შეხვედრის შემდეგ დამსწრე ქალებს შორის ერთობლივი მოწონება დაიმსახურა, თუმცა იყო გარკვეული შენიშვნებიც. მხოლოდ ამის შემდეგ გაემართა ჰილარი კლინტონი პრეზიდენტის რეზიდენციისკენ და დღის ბოლოს ოპოზიციის წარმომადგენლებისთვისაც გამონახა დრო. კონკრეტულად კი ამერიკის სახელმწიფო მდივანი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელ გიორგი თარგამაძეს და არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ირაკლი ალასანიას შეხვდა.**

ქართული პოლიტიკური სპექტრის ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ფაქტის გამო აშკარა წყენას ვერ მალავდა, თუმცა ცდილობდა კორექტულობის შენარჩუნებას, როგორც ჩანს, ჰილარი კლინტონის სახელი მათზედაც ახდენს შთაბეჭდილებას. აღსანიშნავია, რომ წარმატებულ ქალებთან შეხვედრას ყველაზე გამორჩეული ქალი პოლიტიკური ფიგურა „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე არ დაესწრო. პარტიის მთავარი საბჭოს წევრმა მანანა სალუქვაძემ განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძემ შეხვედრაზე მისვლის აზრი ვერ დაინახა.

— ეს შეხვედრა იყო იმ ფორმატის, სადაც ქვეყანაში მიმდინარე მძიმე პროცესებისა და პრობლემების შესახებ შეუძლებელია ადამიანმა ილაპარაკოს. როგორც ჩანს, ქალბატონმა ნინომ ჩათვალა, რომ მსგავსი ფორმატი მისთვის მიუღებელია. — აღნიშნა სალუქვაძემ და აქვე დაამატა, რომ რეალურ ოპოზიციასთან შეხვედრა ჰილარი კლინტონმა არ მოინდომა, რადგან იგი არ არის დაინტერესებული, იმით, რომ მართლა გაიგოს რა დიდი პრობლემების წინაშე დგას საქართველო.

სხვა პარტიების პოზიციებიც დიდად არ განსხვავდება ბურჯანაძის თანაპარტიელების მოსაზრებებისაგან, თუმცა თითქმის არავინ აკონკრეტებს თვითონ რა საკითხებს წამოსწევდნენ, სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის შანსი რომ მისცემოდათ, ამასთან, როგორც ჩანს, თარგამაძე და ალასანია კოლეგებს შორის ნდობით აღარ სარგებლობენ, რადგან სხვა ყველაფერთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი.

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის აზრით, ამერიკულმა მხარემ





> ### თემურ შაშიაშვილი:
> # პრეზიდენტისადმი კეთილგანწყობა ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება

აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შესახვედრად ქართველი ოპოზიციონერი ლიდერები მოსახლეობის მხარდაჭერის პრინციპით შეარჩია და ამისთვის 30 მაისს ჩატარებული არჩევნებით იხელმძღვანელა.

— ვფიქრობ, კლინტონისა და ქართული ოპოზიციის შეხვედრის ფორმატი 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით არის განპირობებული. იმ არჩევნებით, რომლის შედეგებით, ერთის მხრივ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა დაფიქსირდა, ხოლო მეორეს მხრივ, გამოიკვეთა ძალები, რომლებიც ბრძოლის გზად არჩევნებს ისახავენ. ამასთან, კლინტონისა და ქართული ოპოზიციის შეხვედრის ფორმატი ერთმნიშვნელოვნად ამერიკული მხარის მიერ არის შედგენილი.

„ეროვნულ ფორუმშიც“ იგივე მოსაზრებას იზიარებენ. მათი აზრით, ამერიკულმა მხარემ ჰილარი კლინტონთან შესახვედრად ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური ძალები მიიწვია.

**ირაკლი მელაშვილი, „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი:** — 30 მაისის არჩევნებმა აჩვენა, რომ მათში მონაწილე საპარლამენტო ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე რეიტინგული გიორგი თარგამაძეა, არასაპარლამენტოდან კი — ირაკლი ალასანია. სწორედ ამის მიხედვით შეარჩიეს ისინი.

„კონსერვატორები“ კი ჰილარი კლინტონის ვიზიტის უკან გარკვეული გადაადგილებების თუ ამერიკის ახალი ფავორიტების გამოვლენის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ. პარტიის ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, მას არ ჰგონია, კლინტონთან შეხვედრაზე მხოლოდ ირაკლი ალასანიას ან გიორგი თარგამაძის მიწვევა იმას ნიშნავდეს, რომ აშშ მომავალში ფსონის დადებას ამ ორი პოლიტიკოსიდან ერთ-ერთზე აპირებს.

— თუ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზეა საუბარი, მაშინ ამ პერსონებს აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერა არ ექნებათ, მაგრამ როგორც ჩანს, ამერიკა ირაკლი ალასანიასთან და გიორგი თარგამაძესაც თავისიანებად მიიჩნევს. ფაქტია, რომ მთელ ოპოზიციურ სპექტრში გამოარჩიეს მხოლოდ ეს ორი პოლიტიკოსი. საპარლამენტოზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ არასაპარლამენტო ოპოზიციას ყველაზე ნაკლებად ირაკლი ალასანია წარმოადგენს. ვერ გეტყვით ეს შეხვედრა რამდენად უკავშირდება მომავალ პრეზიდენტზე ფსონის დადებას, რადგან ოფიციალურ საპრეზიდენტო არჩევნებამდე თითქმის სამი წელია დარჩენილი, თუმცა გამორიცხული მაინც არაფერია, — **ასეთია ზვიად ძიძიგურის დამოკიდებულება.**

მართალია პოლიტიკურ მოძრაობა „თეთრებს“ ჰილარი კლინტონთან შეხვედრის სხვებზე მეტი ამბიცია არ ჰქონიათ, მაგრამ ამ ვიზიტს, რა თქმა უნდა, ისინიც გამოეხმაურნენ. თემურ შაშიაშვილი მიესალმება ამერიკის სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტს და იმედს გამოთქვამს, რომ აშშ იმეგობრებს ქართველ ხალხთან და არა მიხეილ სააკაშვილთან. — ასეთი პოზიცია ჩვენს ამერიკელ მეგობრებს შეიძლება გაუკვირდეთ და სწორადაც, რადგან ნორმალურ პირობებში, პრეზიდენტისა და ხალხისადმი დამოკიდებულება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. საქართველოში კი სხვა რეალობაა. **პრეზიდენტისადმი კეთილგანწყობა ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება.** — აღნიშნა თემურ შაშიაშვილმა.

ჰილარი კლინტონი გამოცდილი დიპლომატია და, რა თქმა უნდა, მას არ გაუჭირდებოდა ყველა მხარე კმაყოფილი დაეტოვებინა. სხვა საქმეა, თვითონ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში როგორ გადაინაწილებენ ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტის შედეგებს.

**ანა წიწილაშვილი**

## ია ანთაძე კლინტონით მოხიბლულია

**მედიაექსპერტი ია ანთაძე აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრით კმაყოფილია. მისი თქმით, ის ხედვა, რომელიც კლინტონმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო, ყველასთვის მისაღები უნდა იყოს — საქართველოს ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიული პროცესების განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა. ამის შესახებ ანთაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.**

ანთაძის განცხადებით, კლინტონის მისამართით კითხვა საქართველოში მედიის თავისუფლების ხარისხის შესახებ არ ყოფილა, თუმცა ის საკითხები, რის შესახებაც კლინტონმა ისაუბრა, მედიასაც მოიცავდა.

— იყო რამდენიმე თემა, რომლის ძირითადი აქცენტი იყო საქართველოს სამომავლო განვითარება. ხედვა იმისი, თუ რა გზით უნდა წავიდეს ცხოვრება ჩვენს სახელმწიფოში, იყო ამგვარი, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამშვიდობო განვითარება, ძალიან მნიშვნელოვანია იმ სტანდარტებზე ზრუნვა, რომელიც აუცილებელია ევროინტეგრაციისთვის, მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიული პროცესების განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა. ყოველივე ეს, თავისთავად მოიცავდა მედიას და დანარჩენს. მე პირადად კმაყოფილი ვარ იმ ხედვით, რომელიც კლინტონმა შემოგვთავაზა, — განაცხადა ანთაძემ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

დაფასება

# იქნებ სოფელს ეშველოს რამე

## ილია მეორე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად აირჩიეს

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, რომელიც 1957 წელს არის დაარსებული და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის სახელოვანი ისტორია აქვს, საერთო კრებამ აკადემიის საპატიო წევრად (აკადემიკოსად) ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.**

რამდენიმე დღის წინ, შეხვედრაზე საქართველოს საპატრიარქოში, რომელსაც ესწრებოდნენ ქვეყნის ცნობილი აგრარიკოს-მეცნიერები, აკადემიის წევრები, აგრარული სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელები, საპატრიარქოს წარმომადგენლები, ერთობ საზეიმო ვითარებაში მას გადაეცა აკადემიკოსის დიპლომი და სამახსოვრო ადრესი.

შეხვედრაზე მის უწმინდესობას მიესალმნენ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი შოთა ჭალაგანიძე, აკადემიის წევრები, ინსტიტუტების ხელმძღვანელები.

თავის გამოსვლაში პატრიარქმა დიდი მადლობა გადაიხადა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად არჩევისათვის, აღნიშნა ის დიდი სირთულეები და პრობლემები, რომლებიც საქართველოს აგრარული სფეროსა და მეცნიერების წინაშე დგას, გამოთქვან რწმენა აკადემიასთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზე.

დასასრულ, მისმა უწმინდესობამ ილია II დალოცა აკადემიის წევრები და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**სურათზე: პატრიარქის საპატიო აკადემიკოსად არჩევა.**
**გივი მოსაშვილის ფოტო.**



საზოგადოება

# თემურ ნანეიშვილი: ოპოზიციამ ვერაფერზე ვერ შეძლო შეთანხმება, იმის გარდა, რომ ახლა „ქართულ აკადემიას“ ესხმიან თავს

## მდგომარეობიდან ნუ გამოგვიყვანენ, თორემ ყველაფერს სამზეოზე გამოვიტანთ!

*„ქართული აკადემია“ გულგატეხილია!*

*არა მარტო ირაკლი ალასანიას წარუმატებლობაა ამის მიზეზი, არამედ ის ლანძღვისა და ბრალდებების ღვარცოფიც, რომელიც არჩევნების შემდეგ დაატყდათ თავს აკადემიის წევრებს. იმის გამო, რომ ისინი ღიად უჭერდნენ მხარს ირაკლი ალასანიას, როგორც მერობის კანდიდატს, დანარჩენი კანდიდატები და არაკანდიდატები გაბუსულები არიან, მეტიც, ხანდახან შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც არ იშურებენ.*

*— სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. მთელმა ოპოზიციამ შეთანხმება ვერაფერზე მოახერხა, იმის გარდა, რომ „ქართულ აკადემიას“ ესხმიან თავს. გაგიგიათ სადმე, რომ პარტია საზოგადოებრივ ორგანიზაციას ბოიკოტს უცხადებდეს?! აი, პირიქით კი გამიგონია, — ამბობს „ქართული აკადემიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი თემურ ნანეიშვილი და თავის გულისტკივილს „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს უზიარებს:*

— „ქართული აკადემია“ იმთავითვე დარწმუნებული იყო, რომ ოპოზიციურ სპექტრში ირაკლი ალასანიას ალტერნატივა არ ჰყავდა. დანარჩენები უბრალოდ მას ხმებს გაუყოფდნენ. მართალია, ჩვენი აკადემიის წევრმა ნოდარ მგალობლიშვილმა ვერის ბაღში, ცოტა არ იყოს, უხეშად თქვა, ვინც ალასანიას ხელს შეუშლის, მტერიაო, მაგრამ ეს მისი პირადი აზრი იყო, ემოციურ ფონზე თქმული და მას საერთო არაფერი ჰქონდა მთელ ქართულ აკადემიასთან. რა ვქნათ ახლა, მას სწამდა, რომ თუკი სხვები დადგებოდნენ ირაკლი ალასანიას გვერდით და გაერთიანდებოდნენ, ოპოზიციის გამარჯვება გარდაუვალი იქნებოდა.

— ბატონო თემურ, თქვენც აღნიშნეთ არჩევნებამდე ჩვენთან საუბარში, რომ ის კანდიდატები, რომლებიც ოპოზიციურ ფლანგზე დამარცხდებიან, საერთოდ უნდა წავიდნენ პოლიტიკიდანო...

— კი ვთქვი, მაგრამ ხომ ხედავთ, თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალებააო... სწორედ იმისთვის, რომ ქართული აკადემიის მარგინალიზაცია მოახდინონ, რათა შემდგომში მის მხარდაჭერას ფასი არ ჰქონდეს, ლაფში გვსვრიან. ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა თავის დროზე ასე მითხრა. თქვენ ჩვენ მხარს არასოდეს დაგვიჭერთ, ამიტომ არც თქვენი აზრი გვაინტერესებსო (რატომ იფიქრა ასე, არ ვიცი).

**— ვინ იყო ის, ბარემ ესეც თქვით?..**

— არა, არ მინდა. ჩვენი მიზანი ნამდვილად არ არის ის, რომ პარტიები ერთმანეთს დაეტაკონ, მით უმეტეს ჩვენს გამო.

იხ. 5 გვ.

მთავარი თემა



***აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის გუშინდელ შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ხადურს ესაუბრა.***

# „კლინტონის ვიზიტისგან კონფლიქტებთან დაკავშირებით რაიმე სერიოზულ გარღვევას არ უნდა ველოდოთ“

**— ბატონო ნოდარ, 5 ივლისს თბილისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ესტუმრა. აშშ-რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის აქტიურ ფაზაში შესვლის შემდეგ, რას შეიძლება ველოდოთ ამ ვიზიტისგან?**

— პირველი, რაც უნდა ვთქვათ, ქალბატონ კლინტონის ვიზიტი თბილისში საქართველოსთვის მორალური მხარდაჭერის გამოხატულება იყო. კიდევ ერთხელ დადასტურდა აშშ-ს ხელმძღვანელობის ურყევი ნება, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ასე შემდეგ. მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ მოლაპარაკების მთავარი თემა იყო რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში გადატვირთვის ფაზა, რაც ალბათ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე უნდა აისახოს. ამავე დროს, არ არის გამორიცხული, რომ საუბარი შეეხო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. ეს ტრადიციული თემატიკაა, რომელსაც აშშ-ს ხელმძღვანელები ყველა ქვეყანაში დიდ ყურადღებას აქცევენ.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თბილისში ვიზიტამდე, აშშ-ის ექსპრეზიდენტი და ჰილარი კლინტონის მეუღლე ბილ კლინტონი მოსკოვში პუტინს შეხვდა. არ არის გამორიცხული, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობების გარდა, ბილ კლინტონი პუტინთან საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემატიკასაც სერიოზულად განიხილავდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰილარი კლინტონმა თბილისში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით შეჯერებული წინადადებებზე ისაუბროს?**

— ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო დამთხვევაა, როცა აშშ-ის საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი საქართველოში ჩამოდის, ხოლო მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი და სახელმწიფო მდივნის მეუღლე ბილ კლინტონი. მართლაც, დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები, თბილისის გარდა, მოსკოვშიც განიხილება.

რაც შეეხება მოლოდინს; პირველი, ალბათ იქნება ტრადიციული გამეორება იმისა, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობები უნდა დაალაგოს. აშშ და ევროპა საქართველოს ხელისუფლებას ამ რჩევას ყოველთვის აძლევდნენ.

**— თუ ვაშინგტონმა თბილისს რუსეთის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრების მხარდაჭერა ურჩია, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე ვაშინგტონმა და მოსკოვმა გარკვეული კონსენსუსის მიღწევა შეძლეს და ამაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა თბილისში ისაუბრა?**

— შორს ვარ იმ მოსაზრებისგან, რომ ერთი რომელიმე შეხვედრა, გნებავთ თბილისში, გნებავთ მოსკოვში ან ვაშინგტონში, კონფლიქტებთან დაკავშირებით მოახერხებს და შეცვლის იმ დაძაბულ ვითარებას, რომელშიც დღეს საქართველო და რუსეთი იმყოფებიან. თუმცა, შეიძლება იყო საუბარი დევნილთა ისეთ რაიონებში დაბრუნებაზე, რომელიც არც ისე მტკივნეული იქნება. ასეთ რაიონებად შეიძლება ჩაითვალოს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ კონფლიქტებთან დაკავშირებით ჰილარი კლინტონის ვიზიტისგან რაიმე სერიოზულ გარღვევას არ უნდა ველოდოთ.

**— რაც შეეხება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების თემას. აშშ-ის მაღალი რანგის საჯარო პირთა განცხადებები მიუთითებს, რომ ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია. მოვლენათა განვითარებას ისეთი პირი უჩანს, რომ რა პოზიციაც არ უნდა ჰქონდეს საქართველოს ამ საკითხზე, რუსეთი ამ ორგანიზაციაში თბილისის თანხმობის გარეშეც გაწევრდება. ასეთ ვითარებაში, რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ? ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთი იძულებული იქნება, თავისი ვალდებულებები საქართველოს წინაშეც შეასრულოს...**

— ამ საკითხში, არა მარტო ექსპერტების, არამედ საკმაოდ მაღალ დონეზე, ხელისუფლების მხრიდან გაისმის, რომ საქართველოს პოზიცია რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას ალბათ ხელს ვერ შეუშლის. ეს თემა შესაძლოა, ქალბატონი კლინტონის თბილისში ვიზიტისას განხილვის ერთ-ერთი თემა იყოს და რეკომენდაციაც, რომ ამ საკითხში პოზიციები შევიცვალოთ.



მას შემდეგ, რაც რუსეთი ალბათ მაინც გახდება ამ ორგანიზაციის წევრი (მაგრამ როდის არავინ იცის. სავარაუდოდ, გვიან შემოდგომამამაზე ან მომავალი წლის გაზაფხულზეძ, ვფიქრობ, რომ ჩვენ უფრო მეტი სამართლებრივი ბერკეტი გვექნება რუსეთთან ცივილური ეკონომიკური ურთიერთობის დასამყარებლად. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების შემდეგ ჩვენ შეიძლება რუსეთისგან ჩვენი პროდუქციისთვის რუსეთის ბაზრის გახსნა მოვითხოვოთ და რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა პოლიტიკურ ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, გავიმეორებ — თუ საქართველოს გვერდის ავლით მოხდა რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრება, შესაძლებელია ეს არგუმენტი ჩვენ ვეღარ გამოვიყენოთ და რუსეთმა გააგრძელოს საქართველოსთან იგივე ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც დღეს აქვს. ჩვენ ახლა გზაგასაყარზე ვდგავართ, რომლის ერთი გზა არის პოზიციების დაახლოება ამერიკის პოზიციასთან, მეორეა კონფრონტაცია ამერიკასთან რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრების საკითხში. ძალიან ბევრი საფიქრალია იმისთვის, რომ ყველა შესაძლო სარგებელი და დანაკარგი განვიხილოთ. უნდა ვთქვათ, რომ ეკონომიკური თვალსაზრით ალბათ სჯობია, რომ რუსეთი გახდეს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, პოლიტიკური თვალსაზრისით კი, ეს უკვე პოზიციების შეჯერებას მოითხოვს.

**— ქართულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „კანონში სტრატეგიული ობიექტების შესახებ“ გარკვეული ცვლილებები შედის. არ გამორიცხავენ, რომ ეს ცვლილება იმ გაზსადენს შეეხოს, რომლის გასხვისებაც თავის დროზე ვაშინგტონს არ სურდა...**

— ასეთი კანონპროექტის არსებობა შეიძლება ნიშნავდეს სულ მცირე იმას, რომ ხელისუფლებას საბიუჯეტო შემოსავლები სჭირდება და ამიტომ ყიდის გაზსადენს, რათა ბიუჯეტში დამატებითი თანხები მიიღოს. ამიტომ, შესაძლებელია, გაზსადენის საკითხი სადისკუსიო თემა იყოს, როგორც ამერიკასთან, ისე — რუსეთთან. ამიტომ ვფიქრობ, რომ გაზსადენთან დაკავშირებით ხელისუფლებას რამდენიმე კურდღლის დაჭერის მცდელობა აქვს. თუმცა, მას ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, რა ფორმით შეიძლება მისი გასხვისება.

იხ. 4 გვ.

## ⊙ კვლევა

# არის ასეთი „გარდამავალ-ჰიბრიდული“ ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია!

ძალიან მინდოდა, რომ შაბათს მოცემული დაპირება შემესრულებინა და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, გავლენიანი ამერიკული ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ დასკვნის მიხედვით, ანალიზი გამეკეთებინა, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, მხოლოდ მშრალი მონაცემები მომეყვანა და ამ მონაცემების ზოგიერთი პუნქტის შესახებ („მედიის თავისუფლების ხარისხი“ძ, საქართველოში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსის, ანუ მიხეილ სააკაშვილის მცირე კომენტარი შემომეთავაზებინა.

ეს რამდენიმე მიზეზის გამო გადავწყვიტე.

1. რა თქვენ ჩემზე, ან ნებისმიერ ექსპერტზე უკეთ არ იცით, რა ხდება საქართველოში?

2. რა, თქვენ არ იცით, მიუხედავად ხელისუფლების ტრაბახისა, საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა დღითი დღე უფრო გაუსაძლისი რომ ხდება?

3. რა, თქვენ არ იცით, რომ ჩვენთან ადამიანის უფლებების არამც საერთაშორისო ნორმების დაცვა, ელემენტარული სიცოცხლისა და შრომის უფლებაც შეზღუდული გვაქვს?

4. რა, თქვენ არ იცით, რომ ის „გაიშნიკი“, რომელიც ვარდების რევოლუციამდე 2 ლარს იღებდა, „კორუფციონერი“ კი არა, უწვრილესი მექრთამე იყო, ხოლო სიტყვა „კორუფციამ“ დღეს მიიღო ნამდვილი სახე?

5. რა, თქვენ არ იცით, რომ...

და კიდევ რამდენი რამ ვიცით!

ვიცით, ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით, მაგრამ...

ისიც კარგად ვიცით, რომ ამ ხელისუფლებას, არამც თუ ჩვენი ცოდნა, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაც, როგორიც „ფრიდომ ჰაუსია“, სულ „ცალ ფეხზე ჰკიდია“.

ჰოდა აბა რა ვთქვა, როცა ყველამ ყველაფერი ვიცით?

არა, პრინციპში კი ვიცი, რაც უნდა ვთქვა, მაგრამ არაკორექტული იქნება და არ დამიბეჭდავენ. ამიტომ თქვენც რომ იგივე „შეფასება“ გააკეთოთ, რაც მე, ამიტომ გთავაზობთ „ფრიდომ ჰაუსის“ დასკვნიდან მცირე ამონარიდებს. მანამდე კი ვიტყვი, რომ „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევაში ასახული რეიტინგები, შემდგარია მისი მრჩევლებისა და ცალკეული ქვეყნების შესახებ, მოხსენებების ავტორების კონსენსუსის საფუძველზე.

კვლევა, რომელსაც „გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები“ ჰქვია, არის ყოველწლიური კვლევა და ყოფილი კომუნისტური ბლოკის 29 ქვეყანაში 2009 წელს არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს. ქულები გაანგარიშებულია 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1 დემოკრატიული განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ხოლო 7 – ყველაზე დაბალი.

თითოეული ქვეყნის საერთო ქულა გამოიანგარიშება ქულების საშუალო მაჩვენებლით ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რომელთა შორისაა: საარჩევნო პროცესი (რადგანაც 2009 წელს საქართველოში არჩევნები არ ჩატარებულა. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი არჩევნები მომავალი წლის კვლევაში აისახება), სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, სასამართლო სისტემა და კორუფცია (ყველა ამ ცალკეული კატეგორიის მაჩვენებლებიც 2009 წელს უცვლელი დარჩა).

ამ ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს დემოკრატიულობის საერთო ქულა, 2008 წლის მსგავსად, 4.93 შეადგენს. 2007 წელს ეს მაჩვენებელი 4.79 იყო, ხოლო 1999-2000 წლებში – 4.17. „ფრიდომ ჰაუსი“-ის 2005 წლის ანალოგიურ კვლევაში საქართველოს 4.96 ქულა ჰქონდა.

ორგანიზაციის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი კრისტოფერ უოკერი, ანგარიშის მიმოხილვით ნაწილში წერს, რომ 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან (აქ არ შედიან ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო) რვაში ავტორიტარული რეჟიმია, ორში – სომხეთსა და მოლდოვაში – ნახევრად ავტორიტარული სისტემაა. საქართველოსა და უკრაინაში კი არც ავტორიტარული და არც ნახევრად ავტორიტარული.



უოკერი საქართველოსა და უკრაინას ახასიათებს, როგორც **„გარდამავალ-ჰიბრიდული სისტემის„** მქონე ქვეყნებს.

მსოფლიოში მედიის თავისუფლების შესახებ „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ 27 აპრილს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ კვლევაში საქართველო კვლავაც **„ნაწილობრივ თავისუფალი“** მედიის მქონე ქვეყნების კატეგორიაში მოხვდა.

კვლევა, რომელიც 159 ქვეყანას მოიცავს და 2009 წლის მონაცემებს ეყრდნობა, თითოეულ ქვეყანას ანიჭებს ქულას 0-დან 100-მდე შკალაზე. შეფასება სამი მაჩვენებლის მიხედვით ხდება, როგორიცაა: საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, რომელშიც მედიას უწევს საქმიანობა. ქვეყნები, რომლებსაც ენიჭებათ 0-დან 30-მდე ქულა, ხვდებიან „თავისუფალი“ მედიის მქონე ქვეყანათა კატეგორიაში, 31-დან 60-მდე – „ნაწილობრივ თავისუფალი“, 61-დან 100-მდე – „არათავისუფალი“.

რეიტინგში საქართველოს 126-ე ადგილი უკავია, 59 ქულით. „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ შარშან გამოქვეყნებულ მსგავს კვლევაში, საქართველოს 60 ქულით, 128 ადგილი ეკავა.

ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის (ბალტიისპირეთის სახელმწიფოები გარდა, რომლებიც „თავისუფალი“ კატეგორიის ქვეყნებს მიეკუთვნებიან), „ნაწილობრივ თავისუფალ“ ჯგუფში მხოლოდ უკრაინა და საქართველოა, დანარჩენი 10 სახელმწიფო „არათავისუფალ“ კატეგორიაში არიან.

მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით კვლევაში ასევე ნათქვამია, რომ მედია სივრცეში **„დომინანტურ როლს ასრულებენ ის მედია საშუალებები, რომელთა მფლობელებიც ხელისუფლებას უჭერენ მხარს.“**

მიხეილ სააკაშვილმა კი რადიო „თავისუფლების“ აღმასრულებელ დირექტორთან ჯეფრი გედმინთან საუბრის დროს, მედიის თავისუფლებაზე გამოთქმული პრეტენზიებს **„სისულელე“** უწოდა.

„რაც შეეხება პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს, ეს სრული სისულელეა. ეს ბრალდებები ძირითადად გულუბრყვილო უცხოელებისთვის კეთდება; ეს არის კლიშე, რომელიც კარგად საღდება“.

მედიაზე საუბრისას, სააკაშვილმა ასევე განაცხადა: **„საქართველოში არის ტელევიზიები, რომლებიც მთავრობისადმი მეტ-ნაკლებად სიმპათიით არიან განწყობილები; მაგრამ ასევე არიან ტელევიზიები, რომლებიც ხელისუფლების მოწინააღმდეგეები არიან, მათ ეზიზღებათ მთავრობა. რაც შეეხება ბეჭდვურ მედიას, მისი 95% მთავრობის მოწინააღმდეგეა, საქართველოში ყველაფერზე ლაპარაკობენ, ტაბუირებული თემები არ არსებობს“**. ასევე თქვა, რომ საქართველოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა ლიბერალურია.

სასამართლო სისტემის შესახებ მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა **„ცოტა კონკრეტული ნაბიჯი იმ მოსაზრების გასაქარწყლებლად, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება და არა სასამართლო სისტემა, წყვეტს სასამართლო პროცესის ბედს და რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თავად არის კანონი, რომელიც არავის მიმართ არ არის ანგარიშვალდებული“**.

კორუფციასთან მიმართებაში, მოხსენება აკრიტიკებს ხელისუფლებას **„შერჩევითი ანტი-კორუფციული კამპანიის“ გამო, რაც ბევრის მოსაზრებით, არ ეხება პრეზიდენტის ახლო გარემოცვას“**.

„ფრიდომ ჰაუსის“ დასკვნით, საქართველო რჩება **„ნაწილობრივ თავისუფალ“** ქვეყნად, მაგრამ ის აღარ არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არჩევით დემოკრატიებად ითვლებიან.

**„საქართველო ჩამოქვეითდა. ნაწილობრივ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სტილში ავტორიტარული ტენდენციების გამო. საქართველოს დაღმავალი ტენდენცია განპირობებულია 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლენილი ხარვეზებით. მათ შორის არის უამრავი ცნობა დაშინების ფაქტების შესახებ და სახელმწიფო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რამაც საგრძნობლად არათანაბარი პირობები შექმნა, რითაც მმართველმა პარტიამ ისარგებლა“** – ნათქვამია მოხსენებაში.

არჩევითი დემოკრატიების რიგები საქართველოსთან ერთად ასევე დატოვეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ, მავრიტანიამ და ვენესუელამ.

საქართველოს მაჩვენებლები ასევე გაუარესდა საარჩევნო პროცესის კატეგორიაში 4.75-დან 5.2მდე და სამოქალაქო საზოგადოების კატეგორიაში 3.5-დან 3.75-მდე.

ქულები უცვლელი დარჩა მედიის თავისუფლების (4.25ძ, ადგილობრივი თვითმმართველობის (5.5ძ, სასამართლო სისტემის (4.75ძ და კორუფციის (5.00ძ კატეგორიებში.

როდესაც ხელახლა ჩავიკითხე ეს დასკვნა, გადავწყვიტე, ძალიან რბილად (ძალიან!!!ძ მეთქვა ის სათქმელი, რომლისგანაც ოდნავ ზემოთ თავი შევიკავე:

– ყველა ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს!

**გია გაბრიჭიძე**

## ⊙ მთავარი თემა

# „კლინტონის ვიზიტისგან კონფლიქტებთან დაკავშირებით რაიმე სერიოზულ გარღვევას არ უნდა ველოდოთ“

(მესამე გვერდიდან)

**– თავის დროზე ვაშინგტონი ჩვენგან ითხოვდა, არ მიგვეყიდა გაზსადენი რუსეთისთვის. კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ დიდია ალბათობა, რომ ისევ რუსეთი იყიდის. ასეთ შემთხვევაში, ეს იქნება თუ არა საქართველოსთვის რაიმე საფრთხის შემცველი?**

– თავის დროზე, როცა იყო ამერიკის ხელისუფლების რეკომენდაცია, არ გაგვეყიდა გაზსადენი, საქართველოს პოზიცია ასეთი იყო – გაზსადენი მძიმე მდგომარეობაშია, რეაბილიტაცია სჭირდება, ქართულ მხარეს ფული არა აქვს მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. მაშინ ამერიკის ხელისუფლებამ ე.წ. ათასწლეულის გამოწვევის პროექტის ფარგლებში, თუ არ ვცდები, თითქმის 35 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა გაზსადენის რეაბილიტაცია. ხელშეკრულებაში ჩადებულია მუხლი, რომ ვიდრე ეს პროექტი გრძელდება, დაახლოებით ერთი წელი, ამ გაზსადენის გასხვისება არ შეიძლება. ასე რომ, ასეთი შეზღუდვა არსებობდა, თუმცა იქვე წერია – თუ მაინც გაიყიდა, მაშინ ამერიკის ხელისუფლება იტოვებს უფლებას, უკან გაითხოვოს რეაბილიტაციისთვის დახარჯული თანხები და საერთოდ შეწყვიტოს იმ ფონდის საქმიანობა, რომელსაც „ათასწლეულის პროექტი“ ითვალისწინებდა.

**– ქართული პრესა ხშირად საუბრობს რკინიგზის გაყიდვაზეც, ამ საკითხში რაიმე სიახლე ხომ არ არის? და კიდევ, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გაზსადენისა და რკინიგზის მომავალი აშშ-რუსეთის ურთიერთობების გაუმჯობესების კონტექსტის ნაწილი იყოს?**

– ჯერ ახალი არაფერია, თუმცა რკინიგზის მაგალითიც ანალოგიურია. მოგეხსენებათ, რუსეთს შექმნილი აქვს სომხეთის რკინიგზა, უფრო სწორად, ძალიან დიდი ხნით აიღო მართვის უფლებით. დააფუძნა რუსეთის შვილობილი კომპანია, რომელსაც დაარქვა „სამხრეთის რკინიგზა“. იმისთვის, რომ „სამხრეთის რკინიგზა“ დაუკავშირდეს ჩრდილოეთის რკინიგზას, მას „საქართველოს რკინიგზა“ სჭირდება. ამდენად, აქაც ეს საფრთხეც რეალურად არსებობს, მაგრამ ჯერ ამ თემაზე საუბარი შეჩერებულია. მაგრამ, მე არ გამოვრიცხავ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთი აფხაზეთში სრულად, ენგურის ხიდამდე აღადგენს სარკინიგზო მიმოსვლას, ეს თემატიკა კვლავ აქტუალური გახდეს.

არა მგონია, რომ გაზსადენისა და რკინიგზის საკითხები მოსკოვში ან ვაშინგტონში უმაღლესი დონის შეხვედრებზე განხილულიყო. „გადატვირთვის პოლიტიკა“ დათბობას გულისხმობს, სხვა საკითხია, ამ დათბობაში ჩვენ რას ვიგულისხმებთ. არა მგონია, რომ აშშ-ს ხელისუფლება გაზსადენის ან რკინიგზის უპირობოდ გადაცემის მომხრე იყოს. ამისთვის ბევრი მიზეზი არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ საქართველოს რკინიგზა არის ალტერნატიული გზა იმავე რუსეთთან მიმართებაში. თუ ეს გზა რუსეთის ხელში აღმოჩნდება, რუსეთი გახდება მონოპოლისტი ევროპისათვის ენერგომატარებლების მიწოდების თვალსაზრისით, ეს კი, არც ევროკავშირის და არც აშშ-ის ინტერესებში არ შედის.

**კობა ბენდელიანი**



## საზოგადოება

# თემურ ნანეიშვილი: ოპოზიციამ ვერაფერზე ვერ შეძლო შეთანხმება, იმის გარდა, რომ ახლა „ქართულ აკადემიას“ ესხმიან თავს

(მესამე გვერდიდან)

თქვენ, ალბათ იცით, რომ „ქართულმა აკადემიამ“ წიგნი გამოსცა, სადაც ყველა ჩვენი პუბლიკაცია არის მოთავსებული, მაგრამ არც ერთი პოლიტიკური პარტია ამ წიგნს არ გამოეხმაურა, არც ავად, არც კარგად. აი, აქედან მაინც შეიძლება დაასკვნან, ჩვენ არც ერთი პოლიტიკური პარტიის სატელიტი არა ვართ! ჩვენი მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებს ცოტა სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. არავითარი ანგარება ჩვენ არ გვამოძრავებს და ნუ გამოგვიყვანენ მდგომარეობიდან, სასამართლოში ჩივილს ნუ გვაიძულებენ. მართალია, ჩვენ არა ვართ სასამართლოში სირბილისა და კირკიტის მომხრე, მაგრამ თუკი უსაფუძვლო ბრალდებები გაგრძელდება, სიმართლის დამტკიცებას შევეცდებით და ბევრი ისეთი რამე ამოტივტივდება, რაზეც ახლა თავს ვიკავებთ.

იმის მაგივრად, რომ მოგვიწვიონ, მოგვისმინონ, პირიქით, შეურაცხყოფაზე გადმოდიან. თან იმას გვსაყვედურობენ, საზოგადოება რატომ არ აქტიურობსო, მაგრამ თუკი გააქტიურდები და საკუთარ აზრს გამოთქვამ, მგლებივით დაგესევიან. ბოლოს და ბოლოს, ასე აქტიურად ვებრძვით ხელისუფლებას და ისინი არ დაგვსხმიან თავს, თუ არ ჩავთვლით პრეზიდენტის გამონათქვამს, „ჩარეცხილები“ რომ გვიწოდა. ნაციონალებისგან ჩვენი მისამართით საყვედური არ ყოფილა, იმიტომაც, რომ დასაბუთებული არგუმენტები არა აქვთ ჩვენს შენიშვნებზე, აი, ოპოზიციის თავდასხმის ობიექტი კი დაუმსახურებლად ნამდვილად გავხდით.

**— ბატონო თემურ, თქვენი აზრით, კარგი ქენით, რომ არჩევნებს დაუჭირეთ მხარი და ბოიკოტის იდეას არ მიემხრეთ?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ გვახსოვს ადრინდელი გამოცდილება, როგორ შეთანხმდა ბოიკოტზე ოპოზიცია უწინდელ ადგილობრივ არჩევნებზე მაგრამ, როგორც კი არჩევნები დაინიშნა, ეს პირობა ყველას გადაავიწყდა. ამჯერადაც ასე იქნებოდა. გულწრფელად რომ ვთქვათ, არჩევნებისთვის ბოიკოტი რომ გამოეცხადებინათ ალიანსსა და ეროვნულ საბჭოს, თუკი ეს შეთანხმება შედგებოდა, სხვა დანარჩენი ხომ მაინც მიიღებდა მონაწილეობას? ამ ორი დიდი გაერთიანების უარი არჩევნებს ხელს მაინც ვერ შეუშლიდა. ახლა მითხარით, არ იქნებოდა ეს არჩევნები დემოკრატიული? რა, მარტო ალასანიას და საბჭოს უნდა მიეღო მაინცდამაინც მონაწილეობა?

**— ამ შემთხვევაში, ალბათ, მორალური მხარე იქნებოდა გასათვალისწინებელი, საზოგადოება როგორ შეაფასებდა ამას?**

— მორალური მხარე საერთაშორისო საზოგადოების განწყობასა და საბოლოო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენს. არგუმენტი ის იქნებოდა, რომ ოპოზიციას კონსტიტუციური გზით ბრძოლა არ უნდა, შესაბამისად, არ უნდა მიზნის მიღწევა. სხვათა შორის, ძალადობის გზით ხელისუფლების შეცვლას ყველა უარყოფს, მათ შორის „ქართული აკადემიაც“.

**— იყო თუ არა ალიანსში, ან ეროვნულ საბჭოში ვინმე ბოიკოტის მომხრე, რომელიც არჩევნების გზით გამარჯვებას გამორიცხავდა?**

— აი, თქვენც და სხვებიც ისეთ კითხვას მისვამთ, გგონიათ, „ქართული აკადემია“ ისეა ჩახლართული ამ პარტიებთან, რომ მათი შიდასამზარეულო და კულუარები კარგად ვიცით. არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ადამიანები, რომელთაც არა გვაქვს რაიმე მერკანტილური ინტერესი და ამ „უბედურებაში“ თავი იმიტომ გავყავით, რომ ქვეყნის უკეთესი მომავალი გვინდა. ჩვენი მართვა შეუძლებელია! ჩვენ თუ ამ არჩევნებზე ალასანიას ვუჭერდით მხარს, შეიძლება მომავალ არჩევნებზე სხვას დავუჭიროთ მხარი, იმას, ვისაც ჩვენი გაგებით მართებული ორიენტაცია ექნება.

**— რატომ მოგეწონათ ალასანია, მხოლოდ მისი შედარებით მაღალი რეიტინგის გამო? ან ხომ არ წუხხართ ახლა ამ არჩევანის გამო?**

— უპირველესად მისი ბიოგრაფიის გამო გამოვარჩიეთ ალასანია, დღესაც მიგვაჩნია, რომ მართებული არჩევანი გავაკეთეთ და ეს არჩევნებმაც კარგად დაადასტურა, თუმცა მის მიმართაც არაერთი შენიშვნა გვაქვს. ჩვენ მას დავუჭირეთ მხარი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გავაკეთეთ არა სხვისი გინებისა და დისკრედიტაციის ხარჯზე.

**— ბატონო თემურ, რატომ იყო აუცილებელი თქვენს აპოლიტიკურ ორგანიზაციას ხმამაღლა გამოეხატა მხარდაჭერა ალასანიასთვის. ხომ შეიძლებოდა მხარდაჭერა ყოფილიყო, რბილად თუ ვიტყვით, ირიბი, ან სულაც ფარულად გეყარათ მისთვის კენჭი — არჩევნების დღეს? რას მოელოდით თქვენი ამ ჟესტიდან?**

— გვინდოდა, რომ იმ საზოგადოებას, რომელიც ქართული აკადემიის წევრებს ანგარიშს უწევდა, გაეთვალისწინებინა ჩვენი არჩევანი. ეს იყო და ეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ წინასაარჩევნოდ ნებსით თუ უნებლიეთ ყველა რატომღაც ირაკლი ალასანიას წინააღმდეგ დაირაზმა, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. სხვათა შორის, ისინი, ვინც დღეს არჩევნების მხარდაჭერის გამო, თავს გვესხმიან, კენჭისყრის დღეს მაინც მივიდნენ და ალასანიას წინააღმდეგ მისცეს ხმა, ანუ ალასანიას ორ ფრონტზე მოუწია ბრძოლა.

**— თუ დაგიფასათ ასეთი მხარდაჭერა ირაკლი ალასანიამ. თანაც ასეთი თავდადებული მხარდაჭერა და არა ისე — ზედაპირული და მსუბუქი. მას რა რეაქცია აქვს ამ ყველაფერზე?**

— არაფერი არ მოგვითხოვია სამაგიეროდ და ამაზე არც გვიფიქრია, პირიქით. ირაკლი ალასანიას ჩვენ თავიდანვე ვუთხარით: ირაკლი, იცოდე, რომც გაიმარჯვო, ჩვენ შენს ოპოზიციაში გადავალთო. ამიტომ ჩვენ მსგავს „დივიდენდებს“ ამ მხარდაჭერისგან არ მოველოდით. როგორ გგონიათ, ახლა მე, ამ ხნის ადამიანს, თანამდებობა მინდა? მსგავსი არაფერი. „ქართულ აკადემიაში“ ყველა პროფესიის ადამიანია თავმოყრილი, რომელსაც საკუთარი საქმე აქვს, უბრალოდ, ძალაუნებურად, ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მოვხვდით პოლიტიკაში.

**— თქვენ ახსენეთ ალასანიას შეცდომები. რაში უწევთ მას ოპონირებას, რა არ მოგეწონათ?**

— ირაკლიმ არ იბრძოლა ისე შემტევად, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა და ეს თავადაც აღიარა. ძალიან დაბალანსებული იყო მისი პოზიცია, მე ვიტყოდი, რომ დაბალანსებულიც კი არ ერქვა ამას, უფრო პოზიტივზე მუშაობდა, არადა შეეძლო მეტი კომპრომატები წარმოედგინა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და მასალები ხელთ ჰქონდა, უფრო მეტად უნდა წარმოეჩინა ის მებრძოლი სული, რაც მას შინაგანად მართლაც აქვს. აი, ეს უნდა დაენახა საზოგადოებას. რომ ამბობდა „შევცვლიო“, ხალხისთვის უფრო დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო და ა. შ.

ასევე ძალიან დიდ დანაშაულად მიმაჩნია ისიც, რომ მან ყოველგვარი ანგარიშის გარეშე, მეორე დღესვე ამ არჩევნებს „დემოკრატიული“ არჩევნები უწოდა. თუმცა იმასაც ვიტყვი, როგორც ამბობენ, რომ თითქოს უგულავას მიულოცა გამარჯვებაო, მას არ მიულოცავს.

**— არც აქვს მნიშვნელობა, მიულოცა თუ არ მიულოცა. ფაქტია, რომ მისი გუნდი საკრებულოში შევიდა და თანამდებობაც გაინაწილეს.**

— ამაში ვერ გავამტყუნებ. თუ არჩევნებში მონაწილეობ, უნდა შეხვიდე კიდეც. ეს ერთხელ უკვე იყო პარლამენტის არჩევნებზე, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არ შეიძლება ჰქონდეს. უბრალოდ, სხვა არჩევნებზე უკვე აღარ დაგიჯერებენ, შეიძლება გაიმარჯვო, მაგრამ არ შეხვიდეო.

**— და მაინც, ხომ არ ნანობთ, რომ ასე აქტიურად იყავით ჩართული წინასაარჩევნოდ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

— არა. მართალი გითხრათ, არავის მიმართ არ გაგვსკდომია სიყვარულის ბუშტი. უბრალოდ, ალასანიაში დავინახეთ ის პოტენციალი, რომ მას შეეძლო მოგება, ის იყო ყველაზე მეტი ხმის მომპოვებელი და ამიტომ მოვუწოდეთ საზოგადოებას, მისთვის დაეჭირა მხარი. მით უფრო იმ ფონზე, როცა ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ნიჰილიზმს თესავდა და ამბობდა, არჩევნებში მონაწილეობას აზრი მაინც არა აქვსო. სინამდვილეში მოხდა ის, რომ თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტმა დაუჭირა მხარი გიგი უგულავას, დანარჩენი 75 პროცენტთან რომ აქტიურად გვემუშავა, ხომ სხვა შედეგი გვექნებოდა? ე. ი. წარმატების მიღწევა შესაძლებელი იყო. ამიტომ, როცა ოპოზიციონერები სხვის კრიტიკას დაიწყებენ, ყველამ საკუთარ გულში ჩაიხედოს და თქვას, ოპოზიციის გამარჯვებისთვის რა გააკეთა. არაფერიც არ გააკეთეს, პირიქით, ხელი შეუშალეს!

ესაუბრა
**თეა მოსია**

## საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის დინამიკა

# დავით აღმაშენებლიდან – სანამ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაცია დაიწყებოდა

### ქართული და უცხოური წყაროების რეტროსპექტული მიმოხილვა

I საუკუნის ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი — შიდა ქართლს შუა იბერიის სახელწოდებით მოიხსენიებს. VII საუკუნის უსახელო **სომხური გეოგრაფიის** მიხედვით, შიდა ქართლის სახელწოდება ზენა სოფელი იყო. საერთოდ კი ქართლი (ადრე იბერიაძ მოიცავდა ტერიტორიას „თბილისიდგან და არაგვიდგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარამდე“. თემურ ლენგის შემოსევამდე არსებული ყველა წყარო ამ სივრცეში კომპაქტურად დასახლებულ არც ერთ არაქართველ ეთნოსს არ მოიხსენიებს.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ყავს ერისთავი სახელად **ჯავახოსი,** რომელმაც მამისგან — მცხეთოსისგან — დაიმტკიცა მიწა-წყალი **„ფარავნიდან ვიდრე თავამდე მტკვრისა“.**

XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი ნაშრომში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ((უნდა იკითხებოდეს: „ცხოვრება მგლისთავა ლომისა“: გურჯი (მგელიძ, ასლან (ლომიძ, იხ. პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ნაშრომებიძ), მიუთითებს, რომ **ვახტანგ გორგასალმა თავის შვილებს თავისი მიწაწყალი წუნდიდან სომხითამდე უანდერძა“.**

შუა საუკუნეების იტალიელი მისიონერები, ევროპელი თუ არაევროპელი მოგზაურები შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედს მიუთითებენ.

**არმენები (გვიანდელი სომხები)** პირველად საქართველოს ტერიტორიაზე XII საუკუნეში მაშინ ჩნდებიან, როდესაც დავით აღმაშენებელმა 1122 წელს თბილისის აღების შემდეგ ლტოლვილი სომხები თბილისსა და გორში ჩაასახლა. ამ ფაქტს **სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურხაეცი** (XII საუკუნეძ ადასტურებს.

**სომხების მეორე დიდი ნაკადი** საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნეში მაშინ სახლდება, როდესაც მონღოლების მიერ ყარსიდან აყრილი სომხები ქვემო ქართლში სახლდებიან. ამ ფაქტს აღწერს XIII საუკუნის **სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი.**

**სომხების მესამე დიდი ნაკადი** საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნეში მაშინ სახლდება, როდესაც სასტიკი შიმშილის გამო სომხები, როგორც ამას **სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფეცი** აღწერს, ზამთრის ჟამს არარატის მიმდებარე ტერიტორიიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს.

**სომხების მეოთხე დიდი ტალღა** იბრაჰიმ ფაშის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც 1723 წელს განჯიდან თბილისში და გორში 3 000 სომეხი ჩაასახლა. გორში ბევრმა სომეხმა გვარის დაბოლოება შეიცვალა (ასე გაჩნდნენ საქუაშვილები, მენთეშაშვილები, საააკაშვილები, სტეფანიშვილები და ა.შ.ძ.

**სომხების მეხუთე დიდი ნაკადი** პასკევიჩის სახელთან არის დაკავშირებული, რომელმაც 1829 წელს **თურქეთიდან დღევანდელი ახალქალაქის რაიონში სომხების ჩამოსახლებას** ორგანიზაცია გაუწია.

პარალელურად თურქეთი აგრძელებს დასუსტებული საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას. ამ მხრივ, უცხოურ წყაროდ გამოდგება თურქეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი საქართველოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელსაც თავად თურქებმა გურჯისტანის ვილაეთი უწოდეს. გურჯისტანის ვილაიეთში შემავალი რაიონები ჩამოთვლილია 1595 წელს შედგენილ **„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“**. ესენია: ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები და არტაანის და ოლთისის ოლქები. გურჯისტანის ვილაიეთში სულ 1160 სოფელია დასახელებული.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაკონკრეტებულია ყოველი სოფლის თითოეული კომლის უფროსის სახელი, რაც საშუალებას გვაძლევს ამ სოფლებში მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობა დავადგინოთ. მაგალითად, სოფელ სხვილში ფიგურირებს ასეთი სახელები: პაპუნა, ლომინა, ბეჟანა, გრიგოლა, მახარა, კვირიკე, აღდგომელა, წამალა, შიშია და ა.შ. ახალქალაქის სოფლებში: აბულში, აზავრეთში, ვარევანში, ბურნაშეთში,, ტურცხში, ქართვამში მოიხსენიება შემდეგი სახელები: ბერო, ბეჟანი, დემეტრე, მამუკა, თევდორე, მერაბი, საბა, იასონი, ჯიმშერი, ირემა, ზოსიმე, ლაშქარა, იმედა და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს ჩრდილო საზღვარს, მის შესახებ ცნობას სომხური საისტორიო მწერლობის მამა — **მოვსეს ხორენაცი** იძლევა. იგი გუგარეთს და კლარჯეთს ქართულ მხარედ მოიხსენიებს რა, წმინდა ნინოს მარშრუტს შემდეგნაირად აღწერს: „შემდგომ ნეტარი ნინო წავიდა იქიდან, რათა თავისი ადვილგასაგები საუბრით ქართველთა ქვეყნის სხვა კუთხეებიც დაემოძღვრა... მან სახარება იქადაგა **კლარჯეთიდან ვიდრე ალანთა კარამდე და კასპიის კარებამდე“**. (ალანთა კარი ოსურად გამოითქმის “დურ ალან“, შემდგომში დარიალი, ანუ ალანთა კარიძ.

XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის დამდეგს ქართლის სამეფოს დასუსტების გამო „იწყება ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 296ძ.

**მეფე დავით აღმაშენებლის და მის შემდგომ უახლეს პერიოდში ოსთა აქტიურობა არ ჩანს.** მხოლოდ XIII საუკუნის ბოლოს მონღოლთა ლაშქარს დამხმარე ძალად ოსები შემოჰყვნენ, და როგორც ვახუშტი აღნიშნავს, „ამიერიდან დაიწყო მტერობა ოსებსა და ქართველებს შორის“, **ვიდრე გიორგი ბრწყინვალემდე,** რომელმაც მონღოლებთან ერთად შემოსეული ოსები განდევნა. როგორც მემატიანე გვატყობინებს, გიორგი ბრწყინვალემ „შემუსრა კავკასიაში მყოფნი, ურჩნი მოსრა და დაიმორჩილა, და მოხარკე ჰყვნა ყოველი იგინი და დამშვიდდა ქართლი ოვსთაგან, ვინათგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 256ძ. ამის შემდეგ, ოსები მთელი ორი საუკუნე ამ სივრცეში არ მოიხსენიებიან.

**XVI საუკუნის მიწურულს რუსეთი იწყებს ჩრდილო-კავკასიელი ხალხების შევიწროებას და მათ შორის კონფლიქტების პროვოცირებას,** რის გამოც კავკასიის ქედის სამხრეთ ფერდობებზე მასობრივად სახლდებიან აბაზიელები, ოსები და ლეკები. კერძოდ, ოსები როგორც ხიზნები თანდათანობით სახლდებიან ქსნის ერისთავების, მაჩაბლების, ამილახვრების და ციციშვილების კუთვნილი მამულების ჩრდილოეთში. ამის გამო, უკვე XVII–XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება ტერმინი „სამხრეთელი ოსი“. ოსებისგან განსხვავებით, აბაზიელებს თავისი სახელი არ შეუნარჩუნებიათ, რადგან ისინი მასობრივად შეერივნენ ადგილობრივ მოსხებს იგივე მესხებს, რის შედეგად მოხდა სახელების „მოსხის“ და „აბაზუას“ შეულება და მივიღეთ ეთნონიმი ა-მასხი, მოგვინებით ა-ბასხი, აბხასი, და ბოლოს აფხაზი (თუმცა ოსებთან შედარებით, მესხების და აბაზილების პერიოდული ასიმილაციის პროცესი უფრო ადრეულ ხანიდან იღებს სათავეს. იხ. *Нико Мари, История термина „абхаз“, М., Л., 1938, с. 44-52*ძ.

დროის ამ მონაკვეთში, ცხინვალის რაიონში, და თავად ცხინვალში, ოსი საერთოდ არ მოიხსენიება. **1914 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული კამერალური აღწერის თანახმად მხოლოდ ჯავის რაიონის მთიან ნაწილში 28 ოსი ოჯახია ფიქსირებული.**

მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 1922 წლიდან. **1922 წლის დასაწყისში სტალინი მოსკოვიდან საქართველოს ბოლშევიკების თავკაცს ბუდუ მდივანს ურეკავს და აცნობებს, რომ გადაწყდა ოსებისთვის ავტონომიური ოლქის შექმნა და დედაქალაქის შერჩევას ავალებს.** 1922 წლის ზაფხულში სტალინი განმეორებით ურეკავს ბუდუ მდივანს და უმოქმედობას უსაყვედურებს. ბუდუ მდივანი ატყობინებს, რომ „დედაქალაქის შერჩევა სჭირს, რადგან ოსები ძირითადად მთებში ცხოვრობენ. ერთადერთი მსხვილი დასახლებული პუნქტი ცხინვალია, მაგრამ იქ თითო-ოროლა ოსური ოჯახი თუ მოინახება“. მიუხედავად ამისა, **სამხრეთ** ოსეთის ოლქი მაინც შეიქმნა(!ძ

შემდგომი პერიოდი მოიცავს ოსების მასობრივ და ინტენსიურ ჩასახლებას ცხინვალის რაიონიდან ბორჯომის მთელ ხეობაში ვიდრე ბაკურიანამდე ჩათვლით.

**ბიძინა სავანელი,**
**პროფესორი**

ავტოტრანსპორტი

# ბიუჯეტი ფულს კარგავს, მგზავრი — კომფორტულ მომსახურებას



**ქვეყნის ავტოსატრანსპორტო არტერიას რომ პრობლემები ღრღნის, ეს ტრანსპორტის აკადემიის პრეზიდენტ რაჟდენ კიკილაშვილთან შეხვედრამდეც ვიცოდით, მაგრამ მასთან საუბრისას იმდენი მტკივნეული და საჭირბოროტო საკითხი გამოიკვეთა, რომ მათი სააშკარაოზე გამოტანა და სამომავლოდ გადაჭრა, ვფიქრობთ, დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც თავად დარგის განვითარებას, ისე სატრანსპორტო პროცესის მონაწილე ფართო საზოგადოებრიობას.**

კერძოდ, რა პრობლემებსა და სატკივარზეა ლაპარაკი? როგორც ხსენებული აკადემიის პრეზიდენტი აცხადებს, დღეს, ისევე როგორც ბევრ სხვა დარგში, ავტოსატრანსპორტო მეურნეობაშიც უწესრიგობა და განუკითხაობა უფრო მეტია, ვიდრე წესრიგი და პასუხისმგებლობა. მართალია ქვეყანაში მოქმედებს ეკონომიკის სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის ბრძანებით (№193, 2008 წლის 31 დეკემბერიძ დამტკიცებული „ავტოსადგურების ფუნქციონირების წესი და პირობები“, მაგრამ მისით უკმაყოფილონი არიან როგორც მგზავრები, ისე ავტოსადგურები და მძღოლები (გადამზიდავებიძ.

**— და რა გახლავთ ამ უკმაყოფილების მიზეზი?**

— უამრავი რამ, რომელთაგან არსებითს გამოვყოფდი. იმის მიუხედავად, რომ ზემოთ ნახსენებ ბრძანებაში მომდევნო წელსვე შეიტანეს ცვლილებები და დამატებები, მოქმედ წესში მაინც არ არის განსაზღვრული საავტობუსო გადამზიდავების მოვალეობები, უფლებები და პასუხისმგებლობა. არის შემთხვევები (თანაც არა ერთი და ორიძ, როცა ავტოსადგურიდან ავტობუსი გასვლას აგვიანებს ან საერთოდ მარშრუტი იშლება, მაგრამ ვითომც არაფერიო, ამაზე პასუხს არავინ აგებს. ეს, ბუნებრივია, იწვევს მგზავრთა უკმაყოფილებასა და აღშფოთებას, მაგრამ მათი პრეტენზიები გულთან არავის მიაქვს, პასუხი რომ გასცენ, ამის ღირსადაც არ თვლიან. ცალკეული ავტოსადგურები თითქოს ასე თუ ისე არეგულირებენ შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას, მაგრამ ასეთი მცდელობები გამონაკლისია და ისინი ვერ თავსდებიან ერთიანი სატრანსპორტო წესის ჩარჩოებში. თუ გვინდა, რომ იყოს წესრიგი და სამგზავრო-საავტომობილო გადაზიდვების სისტემა გამართულად მუშაობდეს, ქვეყანაში ასეთი ერთიანი წესის შემოღება და ცხოვრებაში დამკვიდრება ჰაერივით აუცილებელია.

**— ეს იგრძნობა კიდეც ყოველ ფეხის ნაბიჯზე. პირადადაც შევსწრებივარ, როცა ავტოსადგურიდან დაგეგმილი მარშრუტი ჩაშლილა, ხოლო სხვა მიმართულებით ერთდროულად რამდენიმე ავტობუსი გასულა. მრავლად არიან ეგრეთ წოდებული „ხიშნიკებიც“, რომლებიც ავტოსადგურებში არც შედიან და პირდაპირ გზიდან იტაცებენ მგზავრებს.**

— სწორედ ეს იწვევს შემდეგ გზაში უამრავ პრობლემასა და გაუგებრობას. მძღოლები იმის გამო, რომ ფულს ეხარბებიან, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მგზავრი გადაიყვანონ და ერთმანეთს გასწრებაში ეჯიბრებიან. ასეთი ავტოდოლი კი, არც თუ იშვიათად, ავარიითა და ტრაგიკული შემთხვევებით სრულდება. ამას ემატება რეისებში გასვლის წინ მძღოლთა სამედიცინო შეუმოწმებლობაც (წინათ შემოწმება დაკანონებული იყოძ, რაც ასევე დიდად სახიფათოა გარანტირებული მგზავრობისთვის. ზოგი ასე ფიქრობს, რადგან ავტობუსი კერძოა, ავტომფლობელს შეუძლია, როცა მოეპრიანება, ჩასხას ხალხი და მანქანა სასურველი მიმართულებით გააქროლოს. რა საჭიროა მძღოლის სამედიცინო შემოწმება ან ავტობუსის რეისში წინასწარ ჩართვაო?

**— ასეთ ქმედებას, ბატონო რაჟდენ, ბევრი საქმისადმი ეგრეთ წოდებული ლიბერალური დამოკიდებულებით ამართლებს. ლიბერალიზმს, მოგეხსენებათ, არ უყვარს ყველას საქმეში ცხვირის ჩაყოფა, ყველაფრის აწონდაწონვა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ გათვლა-გაანგარიშება.**

— ლიბერალიზმის ასეთ გაგებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები. ის, რაზეც უკვე ვილაპარაკე, უფრო უწესრიგობისა და განუკითხაობის კატეგორიას მიეკუთვნება, ვიდრე ლიბერალიზმს. თუ ასე არ არის, მაშინ ამიხსნან ამ ჩვენმა კეთილისმყოფელმა ლიბერალებმა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფული ვინ უნდა შეიტანოს? მე რატომღაც მგონია, რომ გადაზიდვების პროცესის მონაწილე სუბიექტები სიტყვით ლიბერალობენ, საქმით კი სახელმწიფო თანხების მითვისებას ეწევიან.

**— მერე, რას აკეთებს საგადასახადო შემოსავლების სამსახური, ის ხომ მოვალეა, აკონტროლებდეს ავტოსადგურების, აგრეთვე, გადამზიდავთა შემოსავლებიდან ბიუჯეტში შეტანილი თანხების სისწორეს და კანონიერებას?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თავად გადაზიდვების პროცესი იმდენად მოუწესრიგებელია, რომ მასზე სისტემატური კონტროლის გაწევა თითქმის შეუძლებელია. ადრე ცნობილი იყო, რომელი სადგურიდან რომელი ავტობუსი რა დროს გადიოდა, ახლა კი არ არსებობს ერთიანი სამარშრუტო განრიგი და რა მონაცემებს უნდა დაეყრდნოს? საეჭვოა, კერძო პირმა საკუთარი თავი გააკონტროლოს. ამიტომაც შემოსული თანხები იმის ნაცვლად, რომ ავტოსადგურების განვითარებას მოხმარდეს, მას ფაქტობრივად მოგებაში უშვებენ და შემდეგ მაღალი ხელფასებისა და პრემიების სახით ითვისებენ.

**— ამიტომაც გამოიყურებიან ჩვენი ავტოსადგურები „სუპერელეგანტურად“. ბევრ მათგანში, კომფორტს რომ თავი გავანებოთ, ელემენტარული პირობებიც კი არ არის შექმნილი მგზავრთა მომსახურებისთვის. ზოგან ასფალტი არ აგია და სადგურების ტერიტორია ატალახებულია, მგზავრთა მოსაცდელი, მძღოლთა დასვენების ოთახები, საპირფარეშოები ისეთია, შიგ არ შეისვლება.**

— რაღა შორს წავიდეთ, ნახეთ, თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი რა მგომარეობაშია. აქ შენობის პროექტი ფაქტობრივად დარღვეულია და ვაგზალი ფუნქციაშეცვლილ სუბიექტად არის გადაქცეული. ავტობუსები მგზავრების ასაყვანად ჩერდებიან სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავად სადგურის ტერიტორია კი დახაფრულია ათასი ჯურისა და დანიშნულების შენობა-ნაგებობებით, რომელთაც ავტოსატრანსპორტო გადაზიდვებთან არაფერი აკავშირებთ. აღარ ინახება ერთ დროს თითით საჩვენებელი ქუთაისის ავტოსადგური, რომ აღარაფერი ვთქვათ ნავთლუღისა და დიდუბის სადგურებზე, სადაც, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. ასეთი დომხალით ისარგებლეს თურქმა მძღოლებმა და ადრე თუ პარიტეტულ საწყისებზე მუშაობდნენ ჩვენთან, ახლა ქართველი მძღოლები მთლიანად გამოთიშეს და თურქეთის მიმართულებით მიმავალი მთელი მარშრუტები ხელში ჩაიგდეს. ამით, ბუნებრივია, საქართველოს ბიუჯეტმაც იზარალა და მძღოლთა უმუშევრობამაც იმატა.

**— შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— სამგზავრო სამარშრუტო გადაზიდვების ორგანიზაციის და მართვის ერთიანი წესის შემოღებაში. ფაქტობრივად ასეთი წესის პროექტი პროფესიონალ სპეციალისტთა მიერ უკვე შემუშავებულია. მართალია ეს მთლად სრულყოფილი არ არის, მაგრამ გაცილებით უკეთესია იმ ქაოსთან შედარებით, რაც დღეს ამ დარგში სუფევს. როგორც ამ პროექტშია ჩაწერილი, ის არეგულირებს სამგზავრო სამარშრუტო ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის მიზნით მოსახლეობის მომსახურების ორგანიზაციასა და მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში მონაწილეთა უფლებებს და ურთიერთობებს. სხვა წესებთან ერთად ეს წესი დაარეგულირებს მგზავრთა გადაყვანის დამკვეთსა და გადამზიდავს შორის უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების განაწილებას, განსაზღვრავს დადებული ხელშეკრულების სამოქმედო ფუნქციებს, უფლებებს, ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს, საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებს და პირობებს. სხვა ყველაფერთან ერთად ის ხელს შეუწყობს გადამზიდთა შორის თანაბარი პირობების შექმნას და ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, რაც დღეს არ არის.

**— როგორია თქვენი აკადემიის როლი და მიზანი ამ ამოცანის განსახორიელებლად?**

— ტრანსპორტის აკადემია, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ მოახდინოს სატრანსპორტო კომპლექსის განვითარების პროგნოზირება, განსაზღვროს მისი პრიორიტეტული მიმართულებები, დააჩქაროს ქვეყნის სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ ზემოთ დასახელებული პროექტის პრაქტიკაში დანერგვა, მხარში დაუდგეს ხელისუფლებას და ხალხს, რათა სამგზავრო სამარშრუტო ავტოსატრანსპორტო მგზავრთა გადაყვანის მტკივნეულად ჩახლართულ პროცესში ერთხელ და სამუდამოდ წესრიგმა დაისადგუროს.

ესაუბრა
**ოთარ ხუციშვილი**

უსამართლო სამართალი

# პანსიონატი და სამი კოტეჯი წაართვეს... კვიციანთან მოგონილი მეგობრობისათვის

**ჩვენმა ხელისუფლებამ მადა ვერა და ვერ დაიკმაყოფილა. ჯერ მსხვილ ქალაქებში, განსაკუთრებით დედაქალაქში, დაერია ბიზნესმენებს და იძულებითი წესით აჩუქებინა სახელმწიფოს თავისი კუთვნილი ობიექტები, ზოგჯერ საცხოვრებელი სახლებიც კი. ჯერი ზღვისპირა ზოლზე მიდგა.**

1999 წელს ომარ მახარაძემ გონიოს მაცხოვრებელ მზევინარ ქოქოლაძისგან 3 ათას ლარად შეიძინა ათასი კვადრატული მეტრი მიწა, რისი ოფიციალური დოკუმენტიც ორივე მხარეს აქვს.

„ვარდებით“ მოსულებმა მახარაძეს მწვანე შუქი აუნთეს სასტუმროს (სანატორიუმისძ მშენებლობისთვის, 2005 წელს დაწყებული სამუშაოები 2007 წელს დასრულდა. 2007 წლის 25 ივნისის დადგენილებით ხელვაჩაურის რაიონის არქიტექტურის სამსახურმა მახარაძეს ნება დართო ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისა.

მაგრამ აქ ხდება საინტერესო რამ — 2007 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით, გულრიფშისა და გალის სასამართლოებმა, გენერალური პროკურორის მოთხოვნით, მახარაძეს ქონება ჩამოართვეს. ყოველივე ხდება სასტუმროს ოფიციალურ ამუშავებამდე 5 თვით ადრე.

როგორც გონიოელები ამბობენ, ყველაფერი სიხარბემ გამოიწვია. სანატორიუმის ხშირი სტუმრები იყვნენ შსს-ს მაღალჩინოსნები. სწორედ მათ მოუვიდათ თვალში სასტუმრო თავისი სამი კოტეჯით.

კანონიერ მფლობელს ობიექტი ისე ჩამოართვეს, არც ერთ სასამართლო სხდომაზე არ ჰყოლიათ მოყვანილი. უფრო მეტიც: როდესაც ბათუმის სასამართლოს მოსთხოვეს მახარაძისათვის შეტყობინების ბარათების წარდგენა, სასამართლომ უკან მობრუნებულებიც გამოაჩინა, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ბათუმის სასამართლო შეგნებულად აგზავნიდა შეტყობინებებს სხვა მისამართზე. ბათუმის რეესტრის სამსახურის მონაცემებით მახარაძე თაყაიშვილის №14-ში ცხოვრობს და არა მოსამართლეების გამოგონილ სხვადასხვა მისამართებზე.



იმის გამო, რომ სხდომებს არ დასწრებია, მახარაძემ, ცხადია, არ იცოდა რას ედავებოდნენ და რა გახდა ქონების წართმევის მიზეზი. მახარაძემ მისდამი წარდგენილი განაჩენი გამოითხოვა.

განაჩენში კი წერია, რომ მახარაძეს ქონება უნდა ჩამოერთვას... ემზარ კვიციანთან სავარაუდო ახლობლობის გამო.

ბევრი იყვირა მახარაძემ, კვიციანს და საერთოდ კოდორელებსაც კი არ ვიცნობო, მაგრამ გვიან იყო. განაჩენი ძალაშია შესული, ქონება კი შსს-ს ანგარიშზეა აყვანილი.

აი ასე ვარაუდებით გამოაქვთ ჩვენს მოსამართლეებს გადაწყვეტილებები და წყვეტენ ადამიანების ბედს.

მახარაძე სარჩელის გაგზავნას სტრასბურგში აპირებს.

**ზაზა ბილიხოძე**

## ვაი ჩვენს პატრონს!

# როცა ყოველ საქმეს სისხლისა და სიკვდილის სუნი ასდის

**ორიოდე კვირის წინათ რუსთავში ერთმა ახალგაზრდა აზერბაიჯანელმა თავი ჩამოიხრჩო. ისეთი კარგი ვაჟკაცი ყოფილა, აზერბაიჯანელებთან ერთად მისმა ქართულმა სამეგობრომ და სამეზობლომ გულით დაიტირეს.**

საუბედუროდ, ბიზნესის ნიჭი აღმოაჩნდა თურმე, რასაც ხელს მოჰკიდებდა, ააჯეჯილებდა, მაგრამ ეგრევე მიუხტებოდნენ. ბოლოს ლილოში მაღაზია გაუხსნია, იქაც მიაგნესო. ასე ხსნიან სამეგობროში.

ეს უკვე ახალგაზრდათა მერამდენე თვითმკვლელობაა, ვეღარ ვითვლი.

ნაცების ხელისუფლება, რომელიც წინასაარჩევნოდ ენას იჩლექდა, დაპირებებთან ერთად 15-20 ლარსაც არ იშურებდა, ერთბაშად გაყოყოჩდა, დანაპირები მარტო დაივიწყა კი არა, დაერია ხალხს და, სადაც ხელი მიუწვდებოდა, ყველგან ამცირებს შტატებს, ქუჩაში ყრის მუშაკებს და უმწეოდ ტოვებს ოჯახებს.

— ეტყობა პიარ-აფიორას საკბილო შემოაკლდათ და ახლა სტალინის ძეგლს ერთ ადგილას ჩამოეკიდნენო, — მითხრა ერთმა ფრიად დამსახურებულმა, ღირსების ორდენისა და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელმა მეგობარმა, რომლის სახელს მისი მცირე ბიზნესმენობის გამო ვერ გავამხელ, — ყველა ყველა, მაგრამ მტერი გეომება, ლამის თბილისში შემოიჭრა და ეგ პარლამენტარი თარგამაძე 50 ათას დოლარს ჰპირდება, ოღონდ გორში სტალინის ძეგლი ამიფეთქე, ამაზე დიდი უგუნურობა, ასეთი სიბილწე გაგონილა? თანაც ამას შინაგან საქმეთა მინისტრი ამხელს და დამნაშავის დაჭერის მაგივრად გველადავება, დაგვცინიან, მასხრად გვიგდებენ, ლამის გული გამისკდეს. რასაც ესენი აკეთებენ, ყველაფერს სიკვდილის სუნი ასდისო.

— გული კი მიგრძნობდა, აქუ რომ ღადაობდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, შუბი ხალთაში არ დაიმალა, არადა, რას ჰგავდა „კავკასიის“ ის ბარიერი? გორიდან ასე გულანთებული ადამიანები ჩამოიყვანეს, პატიოსნები, ნაღდი პატრიოტები, იმ ელისაშვილმა კი ვინ დაუპირისპირა, ვინ იყვნენ ეს ტინგიცები, ბოკერიამ ხომ თავი გადაგვჭამა, ახლა კი მისი ენაგატლეკილი ცოლი წამოგვასკუპა თავზეო, — შემომითვალა რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი რუსთავის საპროექტო ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა ჯუდუ ციხელაშვილმა, — მარტო გორელები კი არა, სრულიად საქართველო აიგდესო. ბოლოს დამამუნათა, დაწერე, იქნებ გულის ჯავრი ამომყაროო.

სიმართლე გითხრათ, მე „ბარიერს“ თავიდან დიდი იმედით მივაჩერდი. მერე ისეთი რამეები დაატრიალეს, ტელევიზორი უმალ სხვა არხზე გადავრთე, არადა ეს კოლეგა, თუ შეიძლება ამის თქმა, ელისაშვილი ეგეთი ოპოზიციონერი კი არა, სიმართლისათვის მებრძოლ ჟურნალისტად შემოგვეპარა, ლამის გმირად ვაღიარე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დამარცხებული, სამარცხვინოდ გადათელილი თავდაცვის მინისტრის ნარკომანობა აღიარა.

სხვა რა უნდა ვიფიქროთ, აქაც ხელისუფლების მსხვერპლის ხელის ანაბეჭდები უნდა ვეძიოთ, აბა, ვეებერთელა, ხალხის საყვარელი ტელევიზია „იმედი“ გაანადგურეს და „კავკასიას“ ასე გააჯეჯილებდნენ?

ორიოდე თვის წინათ რუსთავის ყოფილი ამწემშენებელი ქარხნის მუშები, ამჟამად ინდოელთა საკუთრებაში რომ არის და სააკაშვილმა ორჯერ თუ სამჯერ დიდი ზარ-ზეიმით რომ გახსნა, გაიფიცნენ, ვერ აიტანეს არაადამიანური პირობები. დღეს, ამ დაქცეულ ქვეყანაში, კაცი სამუშაოს რომ იშოვის და მერე გაიფიცება, რომ იტყვიან, აქ საკომენტარო არაფერია. თუმცა მერე რა, რომ პროტესტი ვაჟკაცურად გამოხატეს, ადამიანური მეობა დაიცვეს, მათი დამშვიდება მხოლოდ პოლიციის გამოჩენით შეძლო ინდოელმა მეპატრონეებმა, რომლებიც 20 ათას დოლარიან ხელფასებს იჯიბავენ ქართველთა ხარჯზე, იმ მუშებს კი, ასე ჯოჯოხეთურ პირობებში რომ შრომობენ, რაღაც სამას ლარს ამადლიან.

არ შემიძლია ისევ სტალინის ძეგლს არ დავუბრუნდე და ერთი ამბავი არ გავიხსენო: გასული საუკუნის 90-იან წლებში გერმანიაში მოგვიწვიეს, ქალაქ დიუსელდორფში. 14 დღით ვეწვიეთ ხუთკაციანი დელეგაცია. მასპინძლობა იყო ზღაპრული, მასპინძლები ყველაფერს აკეთებდნენ, ოღონდ ესიამოვნებინათ, დღისით ფაბრიკა-ქარხნებში დაგვატარებდნენ, გვახვედრებდნენ ბიზნესმენებს, ბანკირებს, საღამოთი რესტორნებში გვანებივრებდნენ. ერთხელაც შეზარხოშებულმა გადავწყვიტე, სტალინის სადღეგრძელო შემეთავაზებინა, იმ ომში დაღუპული მამაჩემის გამო შური მქონდა. მეგობრები გადაირივნენ, აქედან გაგვყრიანო, მაინც ჩემი გავიტანე და, ჰოი, საოცრება, სტალინის სადღეგრძელო თარჯიმანმა უთარგმნა თუ არა, მასპინძლები, ასე ოცამდე ქალი და კაცი უკლებლივ ფეხზე წამოდგა — სტალინმა პირველ რიგში ჩვენ, გერმანელები გვიხსნა ფაშიზმისგანო. მერე რომ ვცადე, ბარემ ჰიტლერს ვადღეგრძელებ და ამით ვალს მოვიხდი-მეთქი, გადაირივნენ, არ გვიხსენო, მან გერმანელი ერი გაანადგურაო.

პარადოქსი კია, მაგრამ ფაქტია. ეს ნაძირალები კი ქართველი კაცის მსოფლიო გაბრწყინებას, დიდი პიკასოს შეფასებით ალექსანდრე მაკედონელზე, ცეზარსა და ნაპოლეონზე ბევრად მაღლა მდგომს, თავიანთი ჭკუით, ქართველი მიწიდან ძირკვავენ. ეს მათ ჰგონიათ ასე. ისინი ხომ ამით ათასებს, ათიათასებს დიდ ტკივილს აყენებენ.

არადა, ესენი ყველგან სიკვდილს თესავენ, განა სიკვდილის ტოლფასი არ არის თუნდაც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ასე გაჩანაგება? აქამდე რისი ჯართად გაყიდვაც მოასწრეს, ხომ გაიტანეს, ათასობით კადრის მუშას, პროფესიონალს, ინჟინერს, ტექნიკოსს განა სიკვდილი არ მიუსაჯეს, როდესაც ათეული წლებით ნაჯაფარს სამუშაო დააკარგვინეს, ქუჩაში გამოყარეს და მათი ოჯახის წევრებიც საშიმშილოდ გასწირეს?

აქ სხვა ხრიკიცაა გათვალისწინებული. ქარხანა ნელ-ნელა იცლება პროფესიონალებისგან, რადგან უკვე ორი ათეული წელია, აქ თაობათა ცვლა არ მომხდარა, ხოლო მეტალურგის პროფესიის დაუფლებას არა ერთი და ორი წელი სჭირდება. მალე იტყვიან, დარგის სპეციალისტები არ გვყავსო და ამ დარგის საძირკველს ბოლო ქვასაც გამოაცლიან.

და განა მარტო მეტალურგიაში ხდება ეს! განა ასე არ გასწირეს ასობით ფაბრიკა-ქარხანა, ასე არ ძირკვავენ ჩვენს უნიკალური შესაძლებლობის მქონე სოფლის მეურნეობას...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ყველგან, ყველა სფეროში მეტასტაზებივითაა გასული ნაცების საცეცები, რათა როგორმე ქართული გენი, ქართული სული ამოძირკვონ. დღეს საქართველოში ქართველი ყველაზე დაუცველია. ამ დროს ოპოზიცია, სამას-ოთხასათასიან მიტინგებზე რომ გვახუჭუჭებდნენ, თავის საქმესაც აკეთებდნენ, ნათელია. ნაციონალების საცეცების პოვნა აქაც საძნელო საქმე არ უნდა იყოს.

**გივი ჯახუა.**
**რუსთავი**

## ინფორმაცია

### ვინ აფინანსებდა ავსტრიიდან სააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ აქციებს?

**გაზეთი „Wall Street Journal“-ი წერს, რომ ავსტრიის პოლიცია საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ გასულ წელს მიმდინარე საპროტესტო აქციების დაფინანსებაში, ევროპაში მოქმედი ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების მონაწილეობის საკითხს იძიებს. ინფორმაცია ამის შესახებ გაზეთმა გუშინ გამოაქვეყნა.**

**ვენის პოლიციის ანგარიშის თანახმად, რომელიც აღნიშნულ გამომცემლობას ხელში ჩაუვარდა, ეს დანაშაულებრივი დაჯგუფება საქართველოში ბაზირდება და ფულს ქურდობიდან, შანტაჟიდან და ფულის გათეთრებიდან იღებს, პირველ რიგში დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.**

**ანგარიშში არის გამოთქმული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ავსტრიაში მაცხოვრებელმა ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა შეაგროვა ფული, რომლითაც დაფინანსდა 2009 წლის დასაწყისში მიმდინარე საპროტესტო აქციები.**

**— დაჯგუფების მიზანი, იყო — მცდელობა კორუფციისა და დაშინების გზით ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინათ საქართველოს პრეზიდენტი — საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისა და საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან საკუთარი თავის გათავისუფლების მიზნით, — ციტირებს გაზეთი ანგარიშს.**

**46 გვერდიან ანგარიშში ამ დაჯგუფებას ეწოდება „ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია“. ანგარიში, ძირითადად სატელეფონო მოსმენებზეა დაფუძნებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ფიქრები თოხსა და ფეხბურთზე



# გასაოცარი არის ზაფხული...

**თოხს ქართველი და არა მარტო ქართველი, უხსოვარი დროიდან ხმარობს. გამოიგონეს ტრაქტორიც, კულტივატორიც, მიწის გამაფხვიერებელიც, მაგრამ თოხი მაინც არ გადააგდო.** იყო დრო, როცა სათოხარში მიმავალ კაცს გზაში ხვდებოდნენ, აიძულებდნენ თოხი გადაეგდო, თბილისში პარლამენტის წინ მიტინგზე დამდგარიყო და ხელისუფლების გადადგომისათვის ებრძოლა. კაცს ყანა დარჩა დაუთესავი და გაუთოხნავი, ქვეყანაში შიმშილობა დაიწყო. იმ პოლიტიკოს-რევოლუციონერებმა კი, თოხის წინააღმდეგ რომ მოქმედებდნენ, თავზე ნილბები ჩამოიცვეს და მოხუცებულებს სახლებში უვარდებოდნენ, ცხელი უთოთი აუთოვებდნენ, პურისათვის გადადებულ ფულს ართმევდნენ, ოჯახებიდან ბავშვებს იტაცებდნენ და მშობლებს გამოსასყიდს სთხოვდნენ...

თოხის გადაგდებამ ადამიანების გაბოროტება გამოიწვია.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბატონი ოტია იოსელიანი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ „ყანაში თოხი ჰქონდა აყუდებული“. სულ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იუბილარმა (ბატონ ოტიას 80 წელი შესრულებიაძ ბრძანა, „თუ კავი, თოხი და ბარი ხელში არ გჭერია, რა გაგააკადემიკოსებს და ამის გარდა ჩვენ სახარებაში გვიწერია „ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენი არსობისაო“.

მკითხველმა განსაჯოს თუ როგორ უსმენენ ბატონ ოტიას რიგითები ბოლნისში: დილის 5 საათზე ყანაში მიმავალი ორი სვანის საუბარი გავიგონე:

— შენს ყანას ბალახი მოსდებია, გივარგი.

— ბალახი მოედო, ბეთქარ.

— მაშ რა აზრი ჰქონდა ყოველ დილით ყანაში გასვლას, თოხნას, ოფლის ღვრას, ბრძოლას, გივარგი.

— ყანაში თოხნას, ოფლის ღვრას, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ბეთქარ.

რამდენს მოიგებს ჩვენი ქვეყანა, თუ ბატონ ოტიას მოუსმენენ ჩვენი მაღალი რანგის პოლიტიკოსები და „ოფლით მოიპოვებენ პურს არსობისას“. 35-გრადუსიან სიცხეში ერთმანეთის გვერდით, წელზევით შიშველები, თოხებით ხელში თუ ჩადგებიან სიმინდის ყანაში ბატონები: მიხეილ სააკაშვილი, კახა ბენდუქიძე, გუბაზ სანიკიძე, ირაკლი წერეთელი და სხვები, თითოეული დღეში ერთ ჰექტარს გათოხნის. მათი სახეებიდან ჩამონადენი ოფლი სიმინდისათვის მისწრება იქნება — მორწყვა აღარ დასჭირდება. როგორ გაუსპეტაკდებათ სახეები, განსაკუთრებულად ხალხის თვალში. ტანით 18 წლის ტანწერწეტა ჭაბუკებს დაემსგავსებიან და, რაც მთავარია, გაიგებენ რაა მამული („ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გაიარე, რაა მამული“ძ. მამული და სამშობლო არც უნივერსიტეტში ისწავლება, არც მიტინგებზე და არც სამინისტროებში, ქარხნებისა და ტყის გაყიდვით.

როდესაც მთოხნელი სიმინდს სარეველასგან ათავისუფლებს, იგი კეთილ საქმეს აკეთებს; მასში სიკეთის საწყისი გასაოცრად იზრდება, ხოლო აგრესია და ბოროტება, შიშველი ფეხების გავლით, მიწაში მოდის. და ამ მომენტიდან იწყება სამშობლოს სიყვარულის შეგრძნება.

სადაა სამართალი, თორემ, თოხი ჩვენი ხელისუფლებისთვის აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს ექიმის რეცეპტით.

რასაკვირველია, თოხნა, მამულის სიყვარულით დატვირთვა, იოლი არ არის, მაგრამ არის გასაოცარი წლევანდელი ზაფხული — წლეულს დიდი ფეხბურთია. თოხნისას თან ფეხბურთზე თუ ფიქრობ, ისე შემოგეთოხნება ყანა, რომ გულიც კი დაგწყდებათ. ფეხბურთი კი... ამდენი პროგნოზი, ამდენი იმედგაცრუება და მაინც როგორ გაალამაზა წლევანდელი წელიწადი ფეხბურთმა, როგორ გააადვილა მუშაობა ვენახებში, ყანებში, ქარხნებში. გულისტკივილიც ახლავს ფეხბურთს, არა ფეხბურთელების მიმართ, არა მსაჯების მიმართ, არამედ გულშემატკივრების მიმართ.

გულშემატკივარი საყვირს რომ შეუსვენებლად აყვირებს, ადგილზე ხტუნავს და დროგამოშვებით უადგილოდ ყვირის, ის საკუთარი ჭიის გასახარად მიდის სტადიონზე და მას ფეხბურთი არ აინტერესებს.

თავის დროზე ჩვენთვის, „დინამოს“ გულშემატკივრების ერთი ჯგუფისთვის, სტადიონზე თვალები რომ აეხვიათ, დანარჩენი გულშემატკივრების რეაქციით შეუცდომლად მივხვდებოდით სად იყო ბურთი, ვინ უტევდა, ვინ იცავდა და სხვა. მივხვდებოდით, რადგან ჩვენ იმ დიდი ფეხბურთის შემადგენელი ნაწილი ვიყავით.

დღევანდელი გულშემატკივარი დიდი ფეხბურთის შემადგენელი ნაწილი არ არის.

ეს სხვათა შორის, თორემ... გასაოცარი არის ზაფხული.

**ნუგზარ კობახიძე**

რას წერენ, რას ამბოგენ ჩვენზე

# წერილი თბილისიდან

**თბილისის მთავარ ქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, პირდაპირ პარლამენტის შენობის წინ არის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომელიც 2006 წელს გაიხსნა. მუზეუმის დამთვალიერებლებს შეუძლიათ იხილონ საქართველოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მთელი ისტორია: 1921 წელს წითელი არმიის შეჭრიდან და პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენელთა მასობრივი დახვრეტიდან მომდევნო ათეულ წლებში და ცივი ომის დამთავრებამდე და საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე**

მუზეუმის გახსნიდან რამდენიმე ხნით ადრე რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა შეახსენა თავის ქართველ კოლეგას – ახალგაზრდა და უკიდურესად პროდასავლურ მიხეილ სააკაშვილს – პროექტის ანტირუსული ხასიათი, მიუთითა, რომ საბჭოთა სახელმწიფო იერარქიის ყველაზე მაღალ წარმომადგენელთა შორის, მათ შორის იყვნენ ქართველები იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია. სააკაშვილმა მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით უპასუხა, რომ რუსეთს უფლება აქვს გახსნას თავისი მუზეუმები რუსეთის მიერ ქართველების ჩაგვრის შესახებ და პირადად იგი მზად არის ამისთვის გაიღოს ფული.

მაგრამ ოკუპაციის მუზეუმი საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ დააფიქსიროს ხსოვნა წარსულის შესახებ, არამედ იმისთვისაც, რომ აჩვენონ თანამედროვეობის მოვლენები. მაგალითისთვის მოვიყვანთ ნოე ჟორდანიას, ჟურნალისტს, რომელიც სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებელ ხელისუფლებას საბჭოთა ოკუპაციის დროიდან სიკვდილამდე ციტატას: „საბჭოთა რუსეთმა შემოგვთავაზა ალიანსი, ჩვენ უარი ვთქვით. ჩვენ სხვადასხვა გზებით მივდივართ, ისინი – აღმოსავლეთისკენ, ჩვენ – დასავლეთისკენ“. ექსპოზიციის დარბაზიდან გამოსასვლელში კედელზე ჰკიდია საქართველოს რუკა, რომელზეც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები შეღებილია მუქ წითლად, ვინაიდან რუსეთსა და საქართველოს შორის ომის შემდეგ, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, რუსეთმა მოახდინა მათი ოკუპირება (თავად რუსეთის გარდა, მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიიჩნევენ მხოლოდ ვენესუელა, ნაურუ და ნიკარაგუაძ.

ამას წინათ საქართველომ ორ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თავისი განვითარების სარბიელზე, როგორც პატარა მტრულ გარემოცვაში მყოფმა დემოკრატიულმა ქვეყანამ. 26 მაისს ათასობით ქართველი გამოვიდა თბილისის ქუჩებში, რათა ეზეიმა დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი; მაშინვე, პირველად 2008 წლის ომის შემდეგ, გაიმართა სამხედრო აღლუმი, სააკაშვილი კი გამოვიდა გაფრთხილებით, რომ ქვეყანას კვლავ აშინებენ „მტრული ძალები“.

მოგვიანებით საქართველოს მოქალაქეები, პირველად ომის შემდეგ, წავიდნენ ხმის მისაცემად ადგილობრივ არჩევნებში; კანდიდატების წინა საარჩევნო კამპანიის თემა უმთავრესად ადგილობრივი დონის საკითხები იყო და არა საგარეო პოლიტიკა, და მიუხედავად ამისა, არჩევნების შედეგებმა აჩვენა საყოველთაო შეშფოთება რუსეთის გამო. სააკაშვილს აკრიტიკებენ იმისთვის, რომ მან ჩაიდინა სისულელე, როდესაც წამოიწყო ომი გიგანტ მეზობელთან, და მიუხედავად ამისა, მისმა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოიპოვა ხმაურიანი გამარჯვება, მოიპოვა ხმების სამოცზე მეტი პროცენტი, ოპოზიციის უფერულმა გამოსვლამ კი გამოიწვია მთავარი ოპოზიციური პარტიის – ალიანსი საქართველოსთვის დაშლა.

ივნისში მე ვიყავი საქართველოში სამთავრობო მიგრაციით და შევხვდი რადიკალურ პარლამენტარებს ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც აწყობდნენ ქუჩის პროტესტებს სააკაშვილის წინააღმდეგ. ისინი უკმაყოფილოდ გამოთქვამდნენ თავიანთ პრეზიდენტს, ზოგჯერ მას პუტინსაც კი ადარებენ.

მაგრამ ისინიც კი კატეგორიულად მოითხოვენ, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, საქართველო კი უნდა შევიდეს ნატოსა და ევროკავშირში (ამას წინათ მოწყობილი გამოკითხვის მონაცემებით, ქართველების ოთხმოცდაათმა პროცენტმა რუსეთი ქვეყნის მთავარ საფრთხედ მიიჩნია, ხოლო კიდევ ერთი გამოკითხვის შედეგად, მთავრობისთვის „პირველი პრიორიტეტი“ უნდა გახდეს „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ – გამოკითხულთა ორმოცდაექვსმეტი პროცენტის აზრით, ოცდაამეტი



პროცენტის აზრით კი (მეორე ადგილიძ – მოითხოვდა „სამუშაო ადგილების შექმნას“ძ.

მოძრაობა დასავლეთის მიმართულებით – ეს არის დიდი პროექტი, რომელიც დაიწყო საქართველომ 2003 წელს, როდესაც პოპულარული „ვარდების რევოლუციის“ შედეგად გადააყენეს ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, კორუფციონერი და ყოფილი საბჭოთა ბიუროკრატი. ამჟამად პროექტის რეალიზაციაზე პასუხს აგებენ პროდასავლურად განწყობილი ლიდერები, თითქმის ყველა მათგანი – ახალგაზრდა ასაკისაა.

საქართველო კავკასიაში ყველაზე განვითარებული ქვეყანაა, თანაც დიდი წინსვლით, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რასაკვირველია, მის დემოკრატიულ სისტემას აქვს ნაკლოვანებები; ივნისის არჩევნებზე საუბრობდნენ „ჩავარდნების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩოებსა და მათ შესრულებაში, უთანაბრობის შესახებ და ცალკეული დარღვევების შესახებ არჩევნების დღეს“. მაგრამ ხელისუფლებისთვის ქვეყანაში ბევრი პარტია იბრძვის, ვითარდება თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, კორუმპირების ყოველწლიურ რეიტინგში კი 179 ქვეყნიდან საქართველომ 67-ე ადგილი დაიკავა.

და მაინც, ეს პატარა ქვეყანა ვერაფრით გაექცევა იმ ამბავს, რომ მოქცეულია დასავლეთს – დასავლეთი სჭირდება რუსეთსაც თანამშრომლობისთვის მთელ რიგ საკითხებში, დაწყებული ენერგეტიკით და დამთავრებული ირანით – და კრემლის ბიუროკრატიას შორის, ამ უკანასკნელის უშიშროების სამსახური არსებითად ამ ქვეყანას თავის დაკარგულ პროვინციად მიიჩნევს. საქართველო გაიჭედა გამოუვალ მდგომარეობაში – გახდეს ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდამეთერთმეტე შტატი, მას, რასაკვირველია არ შეუძლია. რუსეთის ვასალად ყოფნა კი არ სურს.

სააკაშვილის დროს საქართველოს მთავრობა ცდილობდა გამოჩენილიყო მაღალი მდგომარეობიდან, შესულიყო ნატოში. ეს მისწრაფება საქართველოს ჩააყენებს ალიანსის წევრებს შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მეხუთე მუხლის ფარგლებში, აგრეთვე ეს სიმბოლურად მიაახლოებს ქვეყანას დასავლეთს. და მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი დიდი ხანია და მასობრივად საუბრობს ატლანტიკურ ალიანსში შესვლის სასარგებლოდ, არ არის გამორიცხული, რომ ეს მხარდაჭერა შენელდეს. 2008 წლის გამოკითხვის მონაცემებით, ქართველების 96 პროცენტი მხარს უჭერდა ნატოში შესვლის იდეას მთლიანად ან ნაწილობრივ, მაისის გამოკითხვის შედეგად კი – მხოლოდ 52 პროცენტი. ამბივალენტური დამოკიდებულების ზრდა დაკავშირებული ინსტიტუტებისადმი გამოხატავს არა გაწბილებას მათს იდეალებში, არამედ უკმაყოფილებას იმით, რომ ამ ინსტიტუტებს თავად არ სურთ საქართველოს შეშვება თავიანთ წრეში – მრავალი წლის განმავლობაში ხომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების ლიდერები გაიძახოდნენ, რომ სიხარულით მიიღებდნენ საქართველოს ევროატლანტიკურ გაერთიანებაში, მაგრამ რუსეთის მცდელობამ შეენარჩუნებინა საქართველო „პრივილეგირებული ინტერესების სფეროში“, მოახდინა მათზე გარკვეული რეაგირება.

არის ორი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელთა მაგალითზეც ჩანს, თუ რა ძნელია რეფორმების განხორციელება, როდესაც რუსეთის ჩრდილქვეშ იმყოფები. საქართველოსგან დასავლეთით არის უკრაინა, სადაც მიმდინარე წლის არჩევნების შედეგად პრეზიდენტი გახდა პრორუსულად განწყობილი ვიქტორ იანუკოვიჩი, რის შედეგადაც უკუღმა წავიდა ბევრი მიღწევა, რომლებიც მოიტანა ნარინჯოვანმა რევოლუციამ 2005 წელს და ხელისუფლებაში მოიყვანა დიდწილად დასავლეთზე ორიენტირებული ვიქტორ იუშჩენკო.

საქართველოდან აღმოსავლეთით კი არის შუა აზიის რესპუბლიკა ყირგიზეთი, სადაც აპრილში მოხდა რუსეთის მიერ ინსპირირებული სისხლისმღვრელი ამბოხება, რამაც შეიწირა 80 კაცის სიცოცხლე და გამოიწვია პრეზიდენტ ყურმანბეკ ბაკიევის გადაყენება. როგორც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, ბაკიევის ჩამოშორებამ და მასში რუსეთის მონაწილეობამ – „თვალები უნდა აგვიხილოს“.

მდიდრულად გაშლილ სუფრაზე დაზვერვის სამსახურის ერთმა მუშაკმა გამაფრთხილა „ყირგიზეთის სცენარის“ შესაძლებლობის – ესე იგი რუსეთის მიერ რეჟიმის შეცვლის ორგანიზაციის შესახებ სამხედრო ძალის გამოუყენებლად, ეგრეთ წოდებული „რბილი ძალის“ გამოყენებით – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის მანიპულირებით, ეთნოსთა შორის დაპირისპირების გაღვივებით, პოლიტიკური ოპოზიციონერების გადმობირებით და ეკონომიკური ზემოქმედების მოხდენით. სწორედ ამ საშუალებებით მოიპოვა რუსეთმა საზოგადოებრივი აზრი ბაკიევის წინააღმდეგ. განხეთქილების სავარაუდო მიზეზად ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტსა და კრემლს შორის გახდა მისი უარი გაეტანათ ყირგიზეთის ტერიტორიიდან ამერიკელ ჯარისკაცთა სამხედრო ბაზა. ამის პასუხად რუსულენოვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დაუნდობლად დაესხნენ თავს ბაკიევს, დიდი ზიანი მიაყენეს ისედაც შერყეულ მის ავტორიტეტს. უფრო მეტიც – სულ რამდენიმე დღით ადრე, სანამ საზოგადოებრივი გაურკვევლობა გადაიზრდებოდა ამბოხში, კრემლმა გაზარდა საექსპორტო ტარიფები ყირგიზეთში შემავალ გაზზე. საკუთარ შეცდომებთან შეხამებით ბაკიევი ამ ზემოქმედებამ გარედან მიიყვანა დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებამდე, რომელიც შედგება წამყვანი ოპოზიციონერებისგან.

რასაკვირველია, ყირგიზეთში რევოლუციურ სიტუაციასა და საქართველოში ამჟამინდელ პოლიტიკურ კლიმატს შორის არის ერთგვარი მსგავსება. ამჟამად საქართველო განიცდის ცალმხრივ ეკონომიკურ ბოიკოტს რუსეთის მხრიდან, რაც მას არ აძლევს საშუალებას გაყიდოს თავისი საქონელი რუსეთის ვრცელ ბაზარზე. როგორც პარლამენტის სპიკერმა ბაქრაძემ აღნიშნა, საქართველოს აქვს „ქუჩის პროტესტების გამოცდილება“. არსებითად რომ ვთქვათ, სწორედ ქუჩის პროტესტებმა ჩამოართვეს ხელისუფლება შევარდნაძეს 2003 წელს და საქართველოს პირველ პოსტსაბჭოთა პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას 1992 წელს.

სამ ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოდან, სადაც გასულ ათეულ წელიწადში მოხდა „ფერადი რევოლუცია“, მხოლოდ ერთმა შეინარჩუნა ხელისუფლება. კრემლს არ გააჩნია სამხედრო ხასიათის რამდენიმე საშუალება, რომელთა დახმარებითაც მას შეუძლია, მოახდინოს რეჟიმის შეცვლა. აფხაზეთის ხელში ჩაგდებით რუსეთი თავის განკარგულებაში ღებულობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნავსადგურს შავ ზღვაზე, თავისი 5 ათასი სამხედროთი კი სამხრეთ ოსეთში, საიდანაც საქართველოს დედაქალაქამდე სულ 30 მილია, შეიძლება სერიოზულად დაემუქრო თბილისის ხელისუფლებას ჩამოგდებით. რასაკვირველია, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთი გააკეთებს ასეთ გაბედულ ნაბიჯს, თუმცა 2008 წლის აგვისტოშიც დასავლეთში ცოტას თუ შეიძლება ჰქონოდა წარმოდგენა ომის შესახებ.

მეორე მხრივ, რუსეთს შეუძლია, დაიბრუნოს საქართველო თავის ორბიტაში, თუ დაარღვევს თბილისის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და პოლიტიკურ სუვერენიტეტს. რაც უფრო ნაკლებად იქნება დამოკიდებული საქართველო დასავლეთზე ეკონომიკურადაც და დიპლომატიურადაც, მით მეტად მოუწევს მას აირჩიოს თავისი კურსი. ქართველებს, რომლებიც გრძნობენ, რომ დასავლეთმა ზურგი აქცია მათ, შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მცირერიცხოვან და მარგინალ ოპოზიციონერებს, რომლებიც ამას წინათ იყვნენ მოსკოვში პუტინთან მოსალაპარაკებლად. თუ ეს ასეც მოხდა, დასავლეთი ამაში დამნაშავე იქნება უფრო მეტად, ვიდრე რუსეთი.

FOREIGN AFFAIRS

# ქართული ოპოზიცია კლინტონზე განაწყენდა

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში მოგზაურობას ასრულებს თბილისში ექვსსაათიანი ყოფნით. მან წინა დღით გამართა მოლაპარაკება ბაქოსა და ერევანში, სადაც განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, დაეხმაროს აზერბაიჯანსა და სომხეთს მშვიდობის მიღწევაში, ესმის, რომ ეს იქნება ძნელი, მაგრამ აუცილებელი“ და „მნიშვნელოვანი რეგიონის განვითარებისთვის“**

მისი სიტყვებით, „ამერიკის შეერთებული შტატები გამოდის ყარაბახის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის ჰელსინკის პრინციპების საფუძველზე – ტერიტორიული მთლიანობა, ძალის გამოუყენებლობა, ხალხთა თანასწორუფლებიანობა“. ჰილარი კლინტონი დაპირდა ბაქოში, რომ შეეცდებოდა, ხელი შეუწყოს ორი ადგილობრივი ბლოგერის ემინ მილისა და ადნან გაჯიზადეს სწრაფ გათავისუფლებაში. ეს საკითხი მან განიხილა აზერბაიჯანის ხელმძღვანელობასთან. ამიერკავკასიის ტურნემდე, ქალბატონი კლინტონი იყო აგრეთვე უკრაინასა და პოლონეთში.

2009 წლის იანვარში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ქარტიას თანამშრომლობის შესახებ და ამჟამად საქართველოს ხელმძღვანელობას იმედი აქვს, მოისმინოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიულ გარდაქმნათა მხარდაჭერის ახალი დადასტურებანი. ვიზიტის წინ სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ კროულიმ საქართველოს „მნიშვნელოვანი მოკავშირე“ უწოდა, აღნიშნა 900-ზე მეტი ქართველი სამხედროს მონაწილეობა ნატოს ოპერაციებში ავღანეთში.

საერთო აზრით, თბილისის მოლაპარაკებაში იქნება რუსეთთან ურთიერთობის თემაც. რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა კავკასიაში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი მოვლენების შემდეგ, განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ აწარმოოს დიალოგი ჩრდილოელ მეზობელთან. ქართული ოპოზიცია დიდი ხანია საუბრობს იმის შესახებ, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოუწესრიგებლად შეუძლებელია დიდმნიშვნელოვანი რეგიონალური პრობლემების გადაჭრა.

ქართული ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი უკმაყოფილო დარჩა ჰილარი კლინტონისა იმის გამო, რომ პარტნიორებად ურთიერთობისთვის ოპოზიციონერებიდან მან აირჩია მხოლოდ გაეროში ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე. მათი მოძრაობანი, რადიკალური ოპოზიციებისგან განსხვავებით, მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოში ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. „ახლა ამერიკელები სათანადოდ შეაფასებენ მათ ხელისუფლებასთან კორექტული ურთიერთობის გამო“, – განაცხადა ქართველმა პოლიტოლოგმა გიორგი ხუხაშვილმა. მისი სიტყვებით, ამერიკის პოლიტიკაში საქართველოში მომხდარ პროცესებთან დაკავშირებით „არის შეცდომები, რომლებიც უბიძგებენ“ პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების ნაწილს მოსკოვთან ურთიერთობისკენ. სიმბოლურია, რომ სახელმწიფო მდივნის ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, მზადყოფნის შესახებ აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის დედაქალაქში, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა ოპოზიციიდან ლევან გაჩეჩილაძემ.

ირაკლი ალასანიას გარემოცვაში გვაცნობეს, რომ იგი ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, სადაც შეხვედრა ჰქონდა მაიკლ მაკფოლთან. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ბატონი ალასანია კლინტონთან შეხვედრის დროს „დასვამს საკითხს იმის შესახებ, რომ პირი, რომელიც ზედიზედ ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს პრეზიდენტად, არ შეიძლება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გახდეს პრემიერ-მინისტრი“. საქართველოს პრეზიდენტმა ამას წინათ აღიარა, რომ ფიქრობს ასეთი ვარიანტის შესახებ.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე




**სევასტოპოლის სასამართლომ გააუქმა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება რუსული ენის რეგიონალური სტატუსის შესახებ**

ამავე დროს კვლავ აგრძელებს მოქმედებას ყირიმის უმაღლესი საბჭოს დადგენილება საკონსტიტუციო გარანტიების რეალიზაციის შესახებ რუსული ენის თავისუფალ გამოყენებაზე, რაც, ფაქტობრივად, ზრდის რუსული ენის სტატუსს ავტონომიაში. მასზე რეაგირება არ მოუხდენია არც გენერალურ პროკურატურას, არც იუსტიციის სამინისტროს. ყირიმის მაგალითს სურს მიბაძოს ოდესამაც.

* * *

**აშშ-ს სამხედრო ნაწილები ერაყს დატოვებენ ამ ზაფხულს, დაადასტურა ობამამ**



ყველა სამხედრო ქვედანაყოფის გამოყვანა 31 აგვისტომდე ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ბაღდადში აღნიშნა, ამერიკის მისიის ხასიათი ერაყში შეიცვალა, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს ამ ქვეყნის მხარდაჭერას „ეკონომიკურად, პოლიტიკურად და სოციალურად“.

* * *

**სამედიცინო თვითმფრინავის კატასტროფა ტეხასში: დაიღუპა 5 კაცი**



ინციდენტი მოხდა ქალაქ მიდლენდის აეროპორტში. პატარა ორმოტორიანი თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდნენ 73 წლის პაციენტი ქალი, მისი 78 წლის მეუღლე, ორი მედიცინის და და მფრინავი. აფრენისთანავე თვითმფრინავმა დაკარგა მართვა და დედამიწაზე ჩამოვარდა.

* * *

**აღმოსავლეთ ჩინეთში დაიწვა ავტობუსი: დაიღუპა 24 კაცი**

კიდევ 19 მიიღო დამწვრობა და სხვადასხვა ხარისხის ჭრილობა. ავტობუსს ცეცხლი გაუჩნდა, როდესაც ქარხანაში მუშების ღამის ცვლა გადაჰყავდა. ხელისუფლება ღებულობს ზომებს ქარხნის შეუფერხებელი მუშაობისთვის.



სახალისოდ და ჭკუის სასწავლად

# მეცნიერები — ხუმრობით და სერიოზულად

## მეგობრის თხოვნა

**დიდი იტალიელი მეცნიერი გალილეო გალილეი (1564-1642) თავის გამოგონებულ თერმომეტრს ავსებდა არა ვერცხლისწყლით ან სპირტით, არამედ ღვინით. ერთ-ერთი ასეთი ხელსაწყო მან თავის მეცნიერ მეგობარს გაუგზავნა ინგლისში, თანმხლებ წერილში კი აღწერდა თერმომეტრის დანიშნულებას.**

ისტორია დუმს იმის შესახებ, წერილი დაიკარგა თუ მისმა სწავლულმა მეგობარმა ვერ გაიგო მისი არსი, მაგრამ გალილეიმ მიიღო წერილი მეტად მოულოდნელი თხოვნით: „ღვინო მართლაც დიდებული იყო. კიდევ გამომიგზავნე, გეთაყვა ასეთი ხელსაწყო“.

## ფიზიკოსის პასუხი

**ერთხელ დიდ ინგლისელ მეცნიერს ისააკ ნიუტონს (1643-1727) შეეკითხნენ, ბევრი დრო დაგეკარგა თუ არა შენს მიერ აღმოჩენილი კანონების ჩამოყალიბებაშიო.**

დიდმა ფიზიკოსმა არც თუ უიუმოროდ, უპასუხა:

— ჩემს მიერ აღმოჩენილი კანონები მეტად მარტივია. მე ისინი ჩამოვაყალიბე ძალზე უბრალოდ, თუმცა მანამდე კი ძალიან ბევრი ვიფიქრე.

## თოხლო საათი

**ისააკ ნიუტონი განთქმული იყო თავისი დაბნეულობით.**

ერთხელ ნიუტონმა გადაწყვიტა საუზმე თავად მოემზადებინა, რათა მისთვის ხელი არავის არ შეეშალა ფიქრის დროს. მეკუჭნავემ საუზმისთვის მოუტანა ქათმის ორი კვერცხი, ჭურჭელი ცხელი წყლით და საათი, თან გააფრთხილა, კვერცხის „თოხლოდ“ მომზადებისთვის წყალი სამი წუთი უნდა დუღდესო. ნიუტონმა, თავისი დაბნეულობით, მდუღარეში ჩადო საათი, კვერცხი კი ხელში ეჭირა და როგორც საათს, ისე დასცქეროდა..

## წერილი ნაცნობს

**ერთხელ მეცნიერმა თავის მეგობარ ოფიცერს მისწერა შემდეგი შინაარსის წერილი:** „აქ ყველა ლაპარაკობს, რომ შენ გაიმარჯვე ორ ბრძოლაში, მესამეში კი მოგკლეს. მომწერე, მართალია ეს თუ არა? შენ ხომ იცი, როგორ მეწყინებოდა შენი სიკვდილი“.

## სადილი მეგობართან

**ერთხელ ისააკ ნიუტონმა სადილად მიიწვია ერთი ნაცნობი და დაავიწყდა ეს. სტუმარი მოვიდა და ნახა რომელიღაც პრობლემაზე ჩაფიქრებული მეცნიერი. სადილი ერთ პერსონაზე მოიტანეს. სტუმარმა კარგად იცოდა, რომ ფიქრის დროს მეცნიერისთვის ხელი არ უნდა შეეშალა, ამიტომ სუფრას მიუჯდა და ყველაფერი შეჭამა.**

როდესაც ამოცანა გადაწყვიტა, ნიუტონმა შენიშნა ამხანაგი, მიესალმა მას და როცა ცარიელ თეფშებს შეხედა, თქვა: „უცნაურია! ჩემს წინ დამადასტურებელი საბუთები რომ არ იყოს, დავიფიცებდი, რომ ჯერ არ მისადილია!“

## რჩევა მეცნიერს

**გამოჩენილი ფრანგი ფიზიკოსი, ელექტროდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ანდრე მარი ამპერიც (1775-1836) ასევე ცნობილი იყო თავისი დაბნეულობით.** ერთხელ მეცნიერი თავის შვილთან ერთად გაჩერდა ავენიუში დასასვენებლად და ძალების მოსაკრებად. გზის გაგრძელების დრო რომ დადგა, დაბნეულმა ამპერმა ვერაფრით დაიანგარიშა, რამდენი უნდა გადაეხადა გლეხისთვის, ვისთანაც ღამე გაათიეს და იკვებებოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გლეხის დახმარებით ეს გააკეთეს.

— დიახ, ბატონო, — კეთილი ხმითა და დამრიგებლური ტონით აღნიშნა სახლის პატრონმა, — თქვენ ცოტა კი გეხერხებათ ანგარიში, მაგრამ არ გაწყენდათ ცოტა წაგემეცადინათ ჩვენს კიურესთან. უკვე რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან ციფრები მასწავლა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ზოგი რამე დღემდე მახსოვს.

## წერილი მომსვლელებს

**ერთხელ ამპერმა, დილით სახლიდან რომ გამოდიოდა, კარზე მიაწერა: „ბატონებო! ამპერი შინ არაა, მობრძანდით დღეს საღამოს“.** რამდენიმე ხნის შემდეგ, სახლში რომ დაბრუნდა და წარწერა წაიკითხა, მეცნიერი უკან გაბრუნდა და სახლში საღამოს მოვიდა.

## სასურველი დაფა

**ერთხელ ამპერი ქუჩაში მიდიოდა, თან გონებაში რთულ გაანგარიშებებს აწარმოებდა. უეცრად თავის წინ შავი დაფა დაინახა, ისეთი, როგორც აუდიტორიაში ჰქონდა.** გაუხარდა, მიირბინა მასთან, ჯიბიდან ცარცი ამოიღო, მუდამ თან რომ დაჰქონდა, და დაიწყო ფორმულების წერა. მაგრამ უეცრად დაფა ადგილიდან დაიძრა. მეცნიერი მას გაჰყვა. დაფა სიჩქარეს უმატებდა, ისიც იძულებული გახდა სირბილზე გადასულიყო. მხოლოდ გამვლელთა საყოველთაო სიცილმა აიძულა ამპერი ყურადღება მიექცია იმისთვის, რომ მისთვის სასურველი შავი დაფა ზედ დაწერილი ფორმულებით სხვა, არაფერი ყოფილა, თუ არა... კარეტის უკანა კედელი.

## გაჯავრებული სტუმარი

**ერთხელ ამპერი თავის მეგობართან სადილობდა.** სადილი ძალიან უგემური გამოდგა, და ფიზიკოსმა, რომელსაც სულ დაავიწყდა, რომ სტუმრად იყო, გაჯავრებით წამოიძახა:

— აღმაშფოთებელია! ამ მზარეულს ხვალვე გავაძევებ აქედან!

## სასმელის ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი

**გამოჩენილ იტალიელ ფიზიკოსსა და ფიზიოლოგს, ელექტრობის შესახებ მოძღვრების ერთ-ერთ ფუძემდებელს ალესანდრო ვოლტას (1745-1827) ძალიან უყვარდა ყავა, რომელსაც ყოველთვის სვამდა ურძეოდ და უშაქროდ.** როდესაც მას შეეკითხნენ, თუ რატომ არ სცემს პატივს ამ პროდუქტებს, მეცნიერმა სავსებით ლოგიკურად უპასუხა:

— რა არის აქ ასახსნელი?! — რახან ჭიქაში არაა არც რძე, არც შაქარი, მაშასადამე მასში მეტი ყავაა!

## თავმდაბლური პასუხი

**ერთხელ ფრანგმა ფილოსოფოსმა მარი ფრანსუა ვოლტერმა (1694-1778) მაღალი შეფასება მისცა ალესანდრო ვოლტას აღმოჩენებს.** ამაზე იტალიელმა ფიზიკოსმა იხუმრა:

— მართლაც, შეიძლება მე რაიმედ ვღირდე, თუნდაც იმიტომ, რომ ვოლტა — ნახევარი ვოლტერია!

## ასისტენტის რჩევა

**ერთხელ ინგლისელმა ფიზიკოსმა და ქიმიკოსმა, ელექტროქიმიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გოდფრი დევიმ (1778-1829) უცნობი სტუდენტისგან წერილი მიიღო.** ის ატყობინებდა, რომ ისმენდა პატივცემული პროფესორის ლექციებს და უნდოდა ემუშავა მასთან სამეფო ინსტიტუტში.

— რა ვუპასუხო? — დაფიქრებით შეეკითხა დევი თავის ასისტენტს.

— მიიღეთ და დაავალეთ რეცხოს კოლბები, სინჯარები. თუ დაგთანხმდებათ, მისგან გამოვა რამე, — ურჩია პროფესორს ასისტენტმა, ვინც, ეტყობა, გაწამებული იყო ამ რუტინული საქმიანობით.

ასე თუ ისე, ასისტენტი მართალი აღმოჩნდა. მთხოვნელი სტუდენტი აღმოჩნდა მაიკლ ფარადეი (1791-1867წ — მომავალი გამოჩენილი ფიზიკოსი, ელექტრომაგნიტური ველის მოძღვრების ფუძემდებელი.

## ამ ისტორიის მეორე ვერსია

**თუმცა არის დევის ფარადეისთან გაცნობის მეორე, არანაკლებ კურიოზული ვერსია. თითქოს, ერთხელ მეცნიერმა უცნობი მკაზმავისგან (წიგნების ამკინძავი) მიიღო თავისი ლექციების ქიმიის კონსპექტები საუცხოო ყდით.** დევი მოხიბლა კონსპექტის ჩანაწერების სიცხადემ და სიზუსტემ და მოძებნა ნიჭიერი მკაზმავი, მიიწვია იგი თავისთან სამუშაოდ. ამ გაწაფული ოსტატის გვარი, რასაკვირველია, ფარადეი იყო. მოგვიანებით დევი, როცა საუბარი შეეხებოდა აღმოჩენებს მეცნიერებაში, თითქოს ეუბნებოდა თავის ნაცნობებს:

— ჩემს ყველაზე დიდ აღმოჩენად ცხოვრებაში მიმაჩნია ის, რომ თავის დროზე მსოფლიოს აღმოვუჩინე მაიკლ ფარადეი!

იქნებ ორი გამოჩენილი მეცნიერის გაცნობის ასეთ ვარიანტს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ... გოდფრი დევის მიერ საკუთარი თავისთვის დამამცირებელი, თუნდაც ხუმრობით გამონათქვამი დიდ ეჭვს იწვევს. საქმე ისაა, რომ ფარადეიმ თავისი ყველაზე დიდი აღმოჩენა, კერძოდ, მოძღვრება ელექტრომაგნიტურ ველზე, რის შესახებაც ჰიპოთეტურად შეიძლებოდა აღფრთოვანებული დარჩენილიყო დევი, გააკეთა... უკვე მისი სიკვდილის შემდეგ.

ამასთან ერთად, თავად გოდფრი დევი არის ელექტროქიმიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელმაც წამოაყენა მჟავეების წყალბადის თეორია, რაც მიიღო მრავალი ქიმიური ელემენტისა და სხვათა დახმარებით, და მეცნიერების ისტორიაში არანაკლები მდგომარეობა უკავია.



## ვისი შეცდომაა?!

**ყოველმა უფროსკლასელმა ფიზიკის გაკვეთილებიდან იცის ეგრეთ წოდებული „უიტსტონის ხიდი“ — ელექტრული სქემა, რომელსაც ფართოდ იყენებენ წინააღმდეგობის გაზომვისა და სხვა მასთან დაკავშირებულ სიდიდეებთან.** სქემას ასე ეწოდება ინგლისელი ფიზიკოსისა და ელექტროტექნიკოსის ჩარლზ უიტსტონის (1802-1875წ პატივსაცემად. სხვათა შორის, მან შექმნა ერთ-ერთი პირველი სატელეგრაფო აპარატი (1858წ დიდი გამტარუნარიანობით, რომელსაც ასევე მისი სახელი ეწოდება. აი „უიტსტონის ხიდი“ კი მეცნიერს არასოდეს გამოუგონია, თუმცა ამას მას მიაწერს ყველა ცნობარი და ენციკლოპედია. სინამდვილეში, ხიდის აღწერილობა იყო უიტსტონის ვრცელ მოხსენებაში, რომელიც წარუდგინა მან ლონდონის სამეფო საზოგადოებას (დღემდე ასე ეწოდება ინგლისში სამეცნიერო საზოგადოებასწ 1843 წელს. ამ მოხსენებაში მეცნიერი არაორაზროვნად აღნიშნავდა, რომ სახელგანთქმული ხიდი გამოიგონა მეორე ინგლისელმა ფიზიკოსმა — ს.კრისტიმ. მაგრამ ისტორიამ მაინც თავისებურად განსაჯა.

## ბანკირის შერცხვენა

**ერთხელ თავის ნაცნობთა წრეში გერმანელი ფიზიკოსი, სპექტრული ანალიზის ფუძემდებელი გუსტავ რობერტ კირხჰოფი (1824-1887) პოპულარულად საუბრობდა თავისი აღმოჩენების შესახებ სპექტრალური ანალიზის დარგში, რომელიც დაეხმარა მეცნიერებს განესაზღვრათ ოქროს არსებობა მზეზე.** კამპანიაში მყოფმა ერთ-ერთმა ბანკირმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა მეცნიერს, მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი პრაგმატულობით, ირონიულად შენიშნა:

— მითხარით ერთი, რაში მჭირდება მზეზე არსებული ოქრო, რომელსაც ვერასოდეს მოვიპოვებ?!

თავისი გესლიანი ნაცნობის შეკითხვაზე მაშინ კირხჰოფმა ვერაფერი უპასუხა.

მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე წელი და მეცნიერი ამ აღმოჩენისთვის დააჯილდოვეს მასიური ოქროს მედლით. კირხჰოფმა წაუღო იგი ბანკირს საჩვენებლად და უთხრა:

— შეხედეთ, პატივცემულო, თქვენ შეცდით! მე მაინც ჩემსას მივაღწიე და მოვიპოვე ოქრო მზიდან!

## „უგუნური“ წინასწარმეტყველება

**როდესაც ფრანგმა ფიზიკოსმა და ელექტროტექნიკოსმა მარსელ დეპრემ (1843-1918), რომელიც 1896 წელს პარიზში საავტომობილო გამოფენის საზეიმო დახურვას ესწრებოდა, წარმოთქვა სადღეგრძელო მომავალი ავტომობილის შესახებ, რომლის სიჩქარეც საათში 60 კილომეტრს მიაღწევდა, იმ დროისათვის ერთ-ერთმა ცნობილმა ავტომობილების კონსტრუქტორმა წყენით თქვა:**

— რატომაა, რომ ყოველთვის გამოჩნდება ვინმე, ვინც თავისი უგუნური წინასწარმეტყველებით აფუჭებს მთელ საზეიმო განწყობილებას?!

## წარმატების მიზეზი

**ინგლისელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი ერნსტ მახი (1838-1916) ბევრ ძალასა და დროს ახმარდა მეცნიერების პოპულარიზაციას: ფართო პუბლიკისთვის კითხულობდა ლექციებს, აქვეყნებდა სტატიებს. და ასეთმა საქმიანობამ მეცნიერს საზოგადოებაში დამსახურებული წარმატება მოუტანა..**

ერთხელ კოლეგებმა, არც თუ შურის გარეშე, დაუწყეს მახს გამოკითხვა: რაშია მისი გაწაფული გამოსვლების საიდუმლოო.

— ყოველთვის საქმეზე უნდა ილაპარაკო, — მოკლედ და კონკრეტულად განუმარტა მეცნიერმა, — და ეცადო არ ილაპარაკო იმდენად ბუნდოვნად, რომ ყველამ დაიწყოს შენი გაგება.

## რა არის სხვაობა?

**1920 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, 4-ტომიანი „ფიზიკის კურსის“ ავტორს ორესტ ხვოლსონს (1852-1934) მიენიჭა საპატიო აკადემიკოსის წოდება.** აკადემიკოსისგან განსხვავებით, საპატიო აკადემიკოსს ფულადი ჯამაგირი არ ეკუთვნოდა. ამიტომ, როდესაც ცნობილ მეცნიერს ულოცავდნენ, ერთ-ერთი მისი კოლეგა შეეკითხა — კმაყოფილია თუ არა იგი, ფიზიკოსმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, მიხარია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აკადემიკოსსა და საპატიო აკადემიკოსს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც სიტყვების „ხელმწიფეო“ და „მოწყალეო ხელმწიფეოს“ შინაარსს შორის.

## სულის ფილოსოფია და ეროვნული მენტალიტეტი

**ჰეგელის სულის ფილოსოფია თავის დროზე მეცნიერი-კოლეგებისთვის მახვილსიტყვა კომენტარების სამიზნე იყო.** მაგალითად, ამასთან დაკავშირებით გერმანელმა ფიზიკოს-ქიმიკოსმა და იდეალისტმა ფილოსოფოსმა ვილჰელმ ფრიდრიხ ოსვალდმა (1853-1932წ იხუმრა:

— როგორ მოიქცევა ინგლისელი, ფრანგი თუ გერმანელი, თუ მათ შესთავაზებენ, აღწერონ აქლემის თავისებურებანი?

ინგლისელი წავა აფრიკაში, მოკლავს ცხოველს, მისგან დაამზადებინებს ფიტულს, რომელსაც მერე მუზეუმში გამოფენს. ფრანგი ბულონის ტყეში წავა და იქ, აქლემს რომ ვერ ნახავს, ეჭვს შეიტანს მის არსებობაში. გერმანელი კი ჩაიკეტება კაბინეტში და დაიწყებს აქლემის კონსტრუირებას თავისი სულის სიღრმისგან.

## მასწავლებელმა უპოვნა!

**სკოლაში, სადაც ამერიკელი მოზარდი სიდნი პორტერი სწავლობდა, ფიზიკას ასწავლიდა ამ მეცნიერების დიდი ენთუზიასტი და გამოჩენილი ამერიკელი ფიზიკოსის ჯოზეფ ჰენრის (1797-1878) თავგამოდებული თაყვანისმცემელი.** ფიზიკის გაკვეთილები ყოველთვის აუცილებლად იწყებოდა აღტაცებული შეძახილებით, როგორიცაა, მაგალითად:

— ო, ჰენრი! მან კაცობრიობისთვის ააგო ძლიერი ელექტრომაგნიტები და ელექტროძრავები!

— ო, ჰენრი! მან აღმოაჩინა ელექტროდენის ახალი თავისებურება — თვითინდუქცია!

— ო, ჰენრი! ექსპერიმენტის დროს დაადგინა, რომ კონდენსატორის მუხტი ირხევა!

ენთუზიასტი მასწავლებლის ეს მუდმივი აღფრთოვანებითი შეძახილები ისე შეიჭრა პორტერის მეხსიერებაში, რომ მრავალი წლის შემდეგ თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად აიღო სიტყვა „ო, ჰენრი“.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე სახელგანთქმული ამერიკელი მწერალი ო.ჰენრი (1862-1910წ, ვისაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს, და უფრო მეტადაც, ვიდრე, ვაი რომ, ფიზიკოს ჯოზეფ ჰენრის.

№ 125. სამშაბათი, 6 ივლისი, 2010 წელი.

ფეხბურთი

# ევროპელთა აფრიკა

**წლევანდელი „მუნდიალის“ ჯგუფური ეტაპის შემდეგ ყველა აღნიშნავდა სამხრეთამერიკული ფეხბურთის პროგრესს. მათ შეფასების საფუძველი პლეი-ოფების სტარტმა გაუმყარა – მეოთხედფინალისტთა ერთბაშად ნახევარი სწორედ ამ კონტინენტის ნაკრებებმა შეადგინეს. თურმე ავჩქარებულვართ: რჩეულთა კვარტეტში მხოლოდ ურუგვაიმ გააღწია, თანაც უდიდესი გაჭირვებით. მაინც, როგორ მოხდა ეს?**

**ჰოლანდია – ბრაზილია 2:1 (0:1).**

„პენტაკამპეონთა“ კრახს ბევრნი დუნგას სასელექციო პოლიტიკით ხსნიან – აქაოდა გაუმართლებლად თქვა უარი გუნდში რონალდინიოს, პატოს და დიეგოს მიწვევაზეო.



არიან ისეთებიც, ვინც „ნარინჯისფერებთან“ გამართული საბედისწერო ბრძოლის ანტიგმირზე ფელიპე მელოზე იშვენდს ხელებს. ვერც მათ გაამტყუნებ – „იუვენტუსის“ ლეგიონერმა ხომ ჯერ საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი, ხოლო მოგვიანებით ჩაწიხლა წაქცეული რობენი და პარტნიორები უმცირესობაში დატოვა.

სიმართლე რომ ითქვას, ეს არგუმენტები გასათვალისწინებელია, მაგრამ არა უმთავრესი, ასეთად კი საკუთარი ძალებისადმი რწმენის დეფიციტი უნდა მივიჩნიოთ. თუ ვინმეს ასეთი ვარაუდის გამოთქმის მიმართ კითხვა გაუჩნდება, გვიპასუხოს: მსაჯის ნებისმიერი გადაწყვეტილების აპელირება, უხეშობა და ფსიქოლოგიური მოშლილობა ვისი თანამგზავრია?

დავძენთ, რომ ამ შეხვედრაში პირველად დაფიქსირდა მიმდინარე ფორუმის ტაიმბოლი, რამაც ბერტ ვან მაარვიკის ბიჭებს უპირველესი ფავორიტის სტატუსი მიაკუთვნა. ეტყობა, კანონზომიერადაც, რადგან ჰოლანდია ერთადერთია, რომელიც უდანაკარგოდ ასპარეზობს სამხრეთ აფრიკის სტადიონებზე.

**გერმანია – არგენტინა 4:0 (1:0)**

ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბალაკის გარეშე დარჩენილი ბუნდესნაკრები ასე უმოწყალოდ დატორავდა მეტოქეებს, მაგრამ ვინც კარგად იცნობს გერმანულ სულს, არაფერი გაუკვირდება.

არანაკლებ კომპლიმენტებს იმსახურებს იოახიმ ლიოვიც, რომელმაც შესანიშნავად გაშიფრა არგენტინელთა სუსტი წერტილი – დაცვის მარჯვენა ფლანგი და სწორედ იქიდან მიაყენა მარადონას შეგირდებს გადამწყვეტი დარტყმა.

რაც შეეხება ტურნირის აღმოჩენის მიულერის მეორე ყვითელ ბარათს და დისკვალიფიკაციას, მისი არყოფნა ესპანელებთან მართლაც სერიოზული დანაკლისია, მით უმეტეს ევროპის ჩემპიონთა ჭეშმარიტი შესაძლებლობების პირობებში, თუმცა ნუ დაგავიწყდებათ, რომ ალემანებს რეზერვში ტროხოვსკი ჰყავთ.

**ესპანეთი – პარაგვაი 1:0 (0:0)**

თუ შევთანხმდებით, რომ ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, უნდა ვაღიაროთ, რომ „ევრო-2008“-სთან შედარებით პირენეელები რაღაც მძიმედ თამაშობენ, მაგრამ, ჯერ ერთი, მათი ლიდერი ტორესი მაშინ, როცა იტყვიან, დაფრინავდა სარბიელზე, თანაც ამჯერად ვისენტე დელ ბოსკეს კრებულის წინააღმდეგ ყველა ანტიფეხბურთით ცდილობს საწადელის მიღწევას, ყრუ, ეშელონირებული დაცვის გარღვევა კი, მოგეხსენებათ, უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს.

კიდევ კარგი, ძველებურ ტონუსს ინარჩუნებენ ხავი, ინიესტა და ვილია, რომლებიც „წითელი არმადის“ გაჭირვების ტალკვესად გვევლინებიან. ვიმედოვნებთ, მწვრთნელი აწი მაინც მოუძებნის ძირითად შემადგენლობაში ადგილს ფაბრეგასს.

სხვათა შორის, პარაგვაისთან წარმატებით დასრულებული მატჩი გულშემატკივრებს იშვიათი ფაქტით დაამახსოვრდებათ – ჯერ კარდოზომ ვერ გამოიყენა პენალტი, ხოლო შემდეგ – ხაბი ალონსომ. ორივეჯერ მეკარეებმა კასილიასმა და ვილარმა იმარჯვეს.

**ურუგვაი – განა 1:1 (0:1)**

**პენალტებით – 4:2**

დამატებითი დროის უკანასკნელ წუთზე სუარესმა მეკარეობა შეითავსა და ასამოა გიანს ისტორიული შანსი მისცა „შავი კონტინენტის“ წარმომადგენლები პირველად გასულიყვნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, მაგრამ აფრიკელთა ლიდერს ნერვებმა უმტყუნა – ბურთი ძელს მოხვდა. არადა, დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში უპირატესობას მილოვან რაიევაცის გუნდი ფლობდა და, მათთვის სასიკეთო ფინიშის შემთხვევაში ვერავინ იტყოდა, სენსაცია მოხდაო.

სუარესის გარდა, ურუგვაელებს დღეს ტრავმირებული დაცვის ბურჯი ლუგანოც არ ეყოლებათ, თუმცა დარწმუნებით შეგვიძლია გავაკეთოთ პროგნოზი, რომ ისინი არც საკუთარ კოჭებს დაზოგავენ და არც ჰოლანდიელებისას.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# ნანა პირველია



**სომხურ კურორტ ჯერმუკში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის სერიის მეოთხე ტურნირი, რომელშიც 12 დიდოსტატი მონაწილეობდა.** შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრმა ნანა ძაგნიძემ. გუშინ იგი მე-13 სვლაზე ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტ ჰოუ იფანს დაუზავდა და 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით მან 6500 ევრო და გრან-პრის სერიისთვის 160 ქულა დაიმსახურა.

ჭიდაობა

# „კლასიკოსთა“ მონაგარი

**ერთი ოქროს, ორი ვერცხლის მედალი და გუნდური ჩემპიონობა – ასეთია ახალგაზრდა ქართველ ფალავანთა მონაგარი ბულგარულ სამოკოვოში, რომელმაც ევროპის პირველობას უმასპინძლა.**



შესანიშნავად იასპარეზა ვასილ იმერლიშვილმა (96კ). მან ზედიზედ დაამარცხა ხორვატი ტომისლავ ლავრიჩი, რუსი ზელიმხან ბელხაროევი, ნორვეგიელი მარტინ ჰამლეტ ნილსენი, ფინალში კი გერმანელ გოსკუნ ეფესს სძლია და უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. გადამწყვეტი პაექრობები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ თორნიკე მახარაძე (50კ) და საჩინო დავითაია (66კ), რომლებმაც აზერბაიჯანელებთან – ელდანიზ აზიზთან და რასულ ჩუნაიევთან წააგეს.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 48 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენებს ქულით ჩამორჩნენ თურქები, რუსები 45 ქულით მესამეზე გავიდნენ.

ჩოგბურთი

# მილიონი გირვანქა გამარჯვებისთვის



**უიმბლდონის ტურნირზე ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში 10 ფინალი სერენა და ვენუს უილიამსების მონაწილეობით გაიმართა, ოთხჯერ გადამწყვეტ პაექრობებში სულაც დებმა იასპარეზეს.**

**წლევანდელმა შეჯიბრებამ ბოლო ორთაბრძოლაში სერენა და ვერა ზვონარიოვა გადაჰყარა ერთმანეთს. რუსი პირველად იყო ფინალში, ამიტომ გამარჯვებას უფრო გამოცდილ უილიამსს უწინასწარმეტყველებდნენ და ასეც მოხდა – სერენამ იოლად სძლია მეტოქეს (6:3, 6:2) და უიმბლდონის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეოთხედ ავიდა.**

ვაჟებში შესანიშნავად იასპარეზა ესპანელმა რაფაელ ნადალმა, ფინალური შეხვედრა, ფაქტობრივად, ძალების დაუძაბავად მოუგო ჩეხ ტომაშ ბერდიხს – 6:3, 7:5, 6:4, რითაც პროფესიულ ტურში პირველკაცობა დაიბრუნა. საგულისხმოა, რომ ნადალმა, რომელმაც მეორედ გაიმარჯვა უიმბლდონზე, რისთვისაც, სერენას მსგავსად, მილიონი გირვანქა სტერლინგი დაიმსახურა.

**ვაჟა დანელია**

მეზობელთან

# რუსეთმა ჰიდინკის ვალი გაისტუმრა



**როგორ რუსული „კომსომოლსკაია პრავდა“ წერს, რუსეთის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა სერგეი ფურსენკომ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მიაღწიეს შეთანხმებას ფეხბურთში რუსეთის ნაკრების ყოფილ მწვრთნელ გუს ჰიდინკთან მისთვის კონტრაქტით კუთვნილი ფულის გადახდის თაობაზე.**

აქამდე ყოფილმა მწვრთნელმა რამდენიმეჯერ განაცხადა პრესაში, რომ რუსები მას კუთვნილ ფულს არ უხდიან და. აპირებდა ფეხბურთის კავშირისთვის სასამართლოში ჩივილს, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა – ფეხბურთის კავშირმა ჰოლანდიელს კუთვნილი 3,5 მილიონი ევრო გადაუხადა.

რეტრო

# როცა დედოფალი დედოფლობს!

**ჩვენმა სახელოვანმა ნონამ პრესტიჟულ ტურნირზე დორტმუნდში (1974) ბრწყინვალე კომბინაცია ჩაუტარა საერთაშორისო ოსტატ სერვატის (შავებით), შესწირა ორი ეტლი და გაიმარჯვა.**

რამდენიმე თვის შემდეგ ანალოგიურ პოზიციაში რიგელმა „ჭადრაკის მოცარტმა“ მიხეილ ტალმა (თეთრებით) ნონას იდეის მოტივირებული იმპროვიზაციით, ჰალეს საერთაშორისო ტურნირში დაამარცხა გერმანელი ოსტატი პეცე.

– მე ვუძღვნი გულწრფელ მადლობას მსოფლიო ჩემპიონს ჩემს წარმატებაში აქტიური მონაწილეობის გამო – ჩვეული იუმორით აღნიშნა ტალმა რიგის ჟურნალ „ შახმატში“.

აი, ამ პარტიის დაბოლოება:

**გაფრინდაშვილი – სერვატი**

1. ლd4! – ლ:h1
2. მვd2 – ლ:a1
3. ლf6! – შავები დანებდნენ.



**ტალი – პეცე**

1. ლd4 – ლ:h1
2. მვd2 – ლ:h2
3. ხ:f8 – მვ:f8
4. ხf3 – d5
5. ხ:d5 – ლb8
6. ეe1 – ხe6
7. ე:e6 – შავები დანებდნენ.

**მოამზადა თამაზ შენგელიამ**



ინტერნეტიდან

## ტაისონი – მომლოცველი

**მსოფლიო ექსჩემპიონი, ლეგენდარული მოკრივე მაიკ ტაისონი საუდის არაბეთში გაემგზავრა, როგორც მომლოცველი. ის აპირებს არა მხოლოდ მუსლიმანთა წმინდა ადგილების – მექასა და მედინას – მონახულებას, არამედ ისლამურ სხვა წმინდა ადგილების მოვლასაც.**

შეგახსენებთ, რომ სახელგანთქმულმა მოკრივემ ისლამი აღიარა 90-იან წლების დასაწყისში, როდესაც გაუპატიურების გამო დაპატიმრებული იყო 10 წლით – შემდეგ მას სასჯელი შეუმცირეს.

თუმცა ამ ისტორიაში დღემდე რჩება ბნელი ადგილები და ფიქრობენ, რომ ეს იყო ტაისონის წინააღმდეგ კარგად დაგეგმილი საქმეო.

როგორც პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, ყოფილმა აბსოლუტურმა მსოფლიო ჩემპიონმა მომლოცველობა გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც მეორე ლეგენდარულმა მოკრივემ ევანდერ ჰოლიფილდმა უარი თქვა მასთან მესამე ორთაბრძოლაზე.

## მსოფლიო თასი კოკაინით

**როგორც ამას წინათ ვწერდით, ივნისის ბოლოს იოჰანესბურგში ფიფას ოფისიდან მოიპარეს ფეხბურთში მსოფლიო თასის შვიდი ასლი. რასაკვირველია, დაიწყო მათი ძებნა, და აი, ანტინარკოტიკულმა პოლიციამ კოლუმბიაში, ბოგოტის საერთაშორისო აეროდრომზე ხელში ჩაიგდო თასის ერთ-ერთი ასლთაგანი, 11 კგ კოკაინით.**

კოლუმბიის ხელისუფლების ცნობით, თასი სავსე იყო ნარკოტიკებით, ტურნირში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთა მაისურებით. მის გადაგზავნას აპირებდნენ ესპანეთში.

ნარკოგამსაღებლები ცდილობდნენ, ესარგებლათ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ჩემპიონატის პოპულარობით, რათა მოედუნებინათ პოლიციის სიფხიზლე. კოლუმბიელი ნარკობარონები ფიქრობდნენ, რომ თუკი მსოფლიო თასის ასლს გადაგზავნიდნენ ესპანეთში, რომლის ნაკრები პრეტენზიას აცხადებდა ჩემპიონატში გამარჯვებაზე, ეჭვს არ გამოიწვევდა.

## ყველაზე სექსუალური ივნისში

**საფეხბურთო ციებ-ცხელების დროსაც არ დავიწყებიათ ქალები, ლამაზმანები. მაგალითად, იტალიაში, მათი ნაკრები „პირშავად“ რომ დაბრუნდა სამშობლოში, მაინც მოაწყეს ივნისის ყველაზე სექსუალური ქალების კონკურსი-გამოკითხვა. ძირითადად მასში მონაწილეობდნენ ცნობილი ფეხბურთელების ყოფილი სატრფოები ან ახლანდელი ცოლები.**

პოდიუმის „უმაღლეს საფეხურზე“ ხმების 33 პროცენტით „ავიდა“ იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ თავდამსხმელის მარკო ბორიელოს ყოფილი სატრფო ბელენ როდრიგესი, რომელიც ახლა მზეზე და ზღვაში დროს ატარებს ციხიდან ახალგამოსულ ფოტოგრაფ ფაბრიციო კორონასთან. ეს შემთხვევითი როდია. ბელენმა ხომ თავისი მომხიბვლელობით პაპარაცთა უმრავლესობის ყურადღება მიიპყრო.



მეორე ადგილზეა 16 პროცენტით ჯორჯ კლუნის ახლანდელი დაქალი ელისაბედ კანალისი. 15 პროცენტით მესამეა „ინტერის“ ყოფილი ფორვარდის მარიო ბალოტელის „ახლობელი“ სიუზანა პეტრონე და შემდეგ მოდიან კრიშტიანუ რონალდუს ახალი „გულისვარდი“ ირინა შეიკი და ფილიპო ინძაგის ყოფილი სატრფო მარიკა ფრუსიო.

ჩვენი კარაბადინი

# ქოლგა გულისთვის

**ეს პრეპარატი დღეს როდი გამოჩნდა აფთიაქებში. დადექით აფთიაქის დახლთან და გაიგონებთ, თუ როგორ ხშირად ითხოვენ მას პაციენტები. ეს სავსებით გასაგებია. „კაპილარი“ ხომ დღეს უწვრილესი სისხლძარღვების – კაპილარების ერთგვარი „მწმენდავია“. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის.**



ხომ ცნობილია, რომ ადამიანის მთელი სხეულის გამჭოლი კაპილარები არაჩვეულებრივად წვრილია. ისინი ადამიანის თმაზე 15-ჯერ წვრილია. მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ მათი საერთო სიგრძე ფანტასტიკურად გრძელია და 100 000 კილომეტრს აღწევს. ამიტომაა, რომ ამ უწვრილესი სისხლძარღვების ქსელში, რომელიც საკვებ ნივთიერებით ამარაგებს ორგანიზმს, თავისუფლად თავსდება მთელი ჩვენი სისხლის მოცულობის 80 პროცენტი.

მაგრამ ეს ასე ხდება, სანამ ადამიანი ჯანმრთელია. კაპილარების შევიწროების, დახშობისა და ჭკნობის დროს სისხლს კაპილარების მრავალკილომეტრიან ქსელში ადგილი აღარ ჰყოფნის. და ამის გამო ადამიანს აუცილებლად მაღლა ეწევა არტერიული წნევა. დასკვნა თავისთავად დგება დღის წესრიგში. იმისთვის, რომ დავიწიოთ წნევა და ვიქონიოთ იგი ნორმაში, უწვრილესი სისხლძარღვები სისტემატურად უნდა „ვწმინდოთ“, მოვაწყოთ მათი კედლებისთვის ერთგვარი გიმნასტიკა. რასაც, არსებითად, აკეთებს კიდეც უკვე დროით შემოწმებული პრეპარატი „კაპილარი“.

ღირებულია ისიც, რომ ეს არის არა სინთეტიკური წამალი, არამედ მხოლოდ ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებისგან შემდგარი პრეპარატი. ის ბუნებრივი გზით მოქმედებს, რისი წყალობითაც აღწევს წარმატებას. კაპილარული სისხლდენის ნორმალიზაციის წყალობით განიტვირთება დიდი სისხლძარღვები, და თანაბრად, ნახტომებისა და გადატვირთვის გარეშე, თანაბრდება არტერიული წნევა. შედეგად მიიღწევა სისხლძარღვული კატასტროფის რისკის შემცირება და ადამიანის კარგი გუნება-განწყობილების შენარჩუნება. განსაკუთრებით მაგნიტური ქარიშხლებისა და ყველასთვის კარგად ნაცნობი ბუნებრივი კატაკლიზმების დროს!

აღვნიშნავთ, რომ არ აღმოჩენილა რაიმე გვერდითი არასასურველი ეფექტები. მაგრამ, იმისთვის, რომ დანამდვილებით გაიგოთ, დაგეხმარებათ თუ არა ის თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში, მაინც უმჯობესია წინასწარი კონსულტაცია გაიაროთ ექიმთან.

# დიაგნოზი პულსის მიხედვით

**„დავსვამთ დიაგნოზს პულსის მიხედვით – ინტერნეტში ასეთი წინადადება ასობითაა. ბევრს ხიბლავს ის, რომ ჩინური მეთოდიკა თითქოს იძლევა საშუალებას – განისაზღვროს ორგანიზმის მდგომარეობა რაიმე ანალიზის გარეშე: ექიმი მოგკიდებს ხელზე ხელს – და მორჩა. შეიძლება ვენდოთ ასეთ დიაგნოსტიკას? ამ კითხვაზე გვიპასუხებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტრადიციული მეთოდების ცენტრის დირექტორი ალექსეი კარპეევი.**

– პულსური დიაგნოსტიკის ეფექტიანობა და ინფორმაციულობა დაადასტურა მრავალსაუკუნოვანმა (5 ათასი წლის!) პრაქტიკამ. ჩინური ტრადიციული მედიცინა ეფექტიანი რომ არ ყოფილიყო, ჩინელთა ასეთი რაოდენობა მსოფლიოში დღეს არ იქნებოდა.

### გავიგოთ ყველაფერი

თავის დროზე, როდესაც არ არსებობდა ტომოგრაფი და რენტგენი, ხალხი იძულებული იყო წაერთმიათ ბუნებისთვის რაიმე ცნობები ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ მცირეოდენი გარეგნული ნიშნით. ბრწყინავს თვალები? არის გამონაყარი კანზე? რა მდგომარეობაშია ენა? სხვა პარამეტრებს შორის ძველი მკურნალები ყურადღებას აპყრობდნენ პულსს. ჩინეთში გამოცდილ დიაგნოსტს დღემდე შეუძლია განსაზღვროს პულსის მიხედვით პრაქტიკულად ყველაფერი: დაწყებული ორსულობის განსაზღვრიდან მე-5 მე-6 დღეს და დამთავრებული სხვადასხვაგვარი დაავადებებით, რაც პაციენტს აწუხებდა ცხოვრების განმავლობაში, აქვს მას ამჟამად და შეიძლება გაუჩნდეს მომავალში.

თითქოსდა თანამედროვე მედიცინა იმდენად წავიდა წინ დიაგნოსტიკის საკითხებში, რომ აღარ სჭირდება გამოკვლევების ამგვარი მეთოდები. მაგრამ ღირს განა იმის დავიწყება, თუ რა მისცა ადამიანს ბუნებამ? როდესაც ახალგაზრდა ექიმი ვიყავი და კალუგაში ვმუშაობდი, ჩვენთან კლინიკაში მოხვდა ავადმყოფი, რომელსაც ვერაფრით დავუსვით დიაგნოზი. სანიტარმა ჩაილაპარაკა: „ივანოვი ტუბერკულოზზე შეამოწმეთ...“ შევამოწმეთ და მართლაც აღმოვაჩინეთ თირკმელების ტუბერკულოზი, რომლის გამოვლინებაც უკიდურესად ძნელია. შემდეგ მას შევეკითხე: „როგორ გამოიცანი ეს?“ მან ამიხსნა: „ნახევარი ცხოვრება ტუბერკულოზის დისპანსერში გავატარე, ამიტომ სუნით ვსაზღვრავ ხოლმე“. წარმოგიდგენიათ? ტუბერკულოზით დაავადებულებს სხვაგვარი სუნი აქვთ... რა გამოდის? – ზოგჯერ თანამედროვე მოწყობილობას არ შეუძლია დასვას დიაგნოზი, ადამიანს კი შეუძლია.

### შველის თუ არა?

პულსური დიაგნოსტიკა – ულრმესი, უძველესი მეცნიერებაა, რომელსაც დღემდე იყენებენ მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით ეფექტიანად – კარდიოლოგიაში. მაგრამ დღეს მედიკოსები ითვალისწინებენ მხოლოდ გულის ცემის სიხშირეს, მის რიტმულობას და სისავსეს (სუსტია გულის უკმარისობის დროს ან მაგარი მაღალი არტერიული წნევის დროს), მაგრამ არის პულსის სხვა დახასიათებანიც. არ არის საჭირო იცოდე ყველა 80, საკმარისია 6-8, მაგრამ მათაც შეუძლიათ უკარნახონ ექიმს, თუ ორგანიზმის რომელი სისტემა უნდა შეამოწმოს.

---

## როგორ დავიცვათ თავი მაგნიტური ქარიშხლისგან?

**როდესაც უკანასკნელი 20 წლის მონაცემები შეადარეს, მეცნიერებმა დაასკვნეს, თუ როგორ კავშირშია „სასწრაფო დახმარების“ გამოძახების სიხშირე ბუნებრივ ფაქტორებთან.** გამოირკვა: მაგნიტური ქარიშხლების დღეებში „სასწრაფო დახმარების“ ექიმებს გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის გამო სამჯერ უფრო ხშირად მიმართავენ! ამასთან ინფარქტების რიცხვი ამ დღეებში იზრდება 47 პროცენტით, ინსულტებისა – 7,5 პროცენტით, სტენოკარდიუმის შეტევებისა – ერთ-ნახევარჯერ. და კიდევ, ქალების, სტატისტიკის მიხედვით, მეტეოდამოკიდებულება უფრო ხშირია მამაკაცებთან შედარებით.

### უბედურების ნიშანი

**იმ ადამიანების უმრავლესობას, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადება აწუხებს, მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში უუარესდებათ გუნება-განწყობილება. ისინი განიცდიან თავის ტკივილს და ტკივილებს გულში, მოდუნებას, მოშვებულობას, ცუდად ძინავთ, გაღიზიანებული ხდებიან. მაგრამ მათს მდგომარეობაში არის სხვაობაც. ამ ხალხის ერთი ნაწილი მომავალ უბედურებაზე რეაგირებას ახდენს წინასწარ, მეორე – უშუალოდ მაგნიტური ქარიშხლის პერიოდში, მესამე-მეორე დღეს. მხოლოდ ქარიშხლების მეორე დღეს არტერიული წნევა ჩვეულებრივად, კვლავ სტაბილურ მდგომარეობას უბრუნდება.**





რა ხდება ადამიანის ორგანიზმში „მძიმე დღეებში“? როგორც წესი, მაგნიტური ველის რყევის დროს ორგანიზმში იცვლება სისხლის დენა. სისხლი უფრო სქელი ხდება და უფრო ნელა მიედინება სისხლძარღვებში. მათ შორის თავის ტვინის წვრილ სისხლძარღვებში. აქედანაა თავის ტკივილი, შაკიკი, სწრაფი და თითქოს უმიზეზო დაღლილობა. ირღვევა სისხლძარღვთა ტონუსის რეგულაცია, გაუთვრეტელად „დახტის“ არტერიული წნევა. მაგრამ, რაც მთავარია, აქაა დამალული ფესვები უფრო სერიოზული შედეგებისა: გულ-სისხლძარღვთა კატასტროფების – მიოკარდიუმის ინფარქტის, ინსულტების, მძიმე ჰიპერტონული კრიზისებისა.

ასეთ დღეებში პაციენტებმა, რასაკვირველია, უნდა შეასრულონ კარდიოლოგების რეკომენდაციები: მიიღონ გამოწერილი წამლები, ეცადონ ბევრი არ ჭამონ, მეტი დრო დაუთმონ სუფთა ჰაერზე ყოფნას. ამას გარდა, ზედმეტი არ იქნებოდა „ძნელ დღეებში“ სხვა – არაწამალი საშუალება „კაპილარი“. ეს არის ბიოლოგიურად არააქტიური დამატება, რომელიც შეიქმნა მოწინავე სამედიცინო მეცნიერების წიაღში. მან კარგად წარმოაჩინა თავი და ასეული ათასობით მეტეოდამოკიდებულ ადამიანს ეხმარება უდანაკარგოდ, უტკივილოდ და უდეპრესიოდ გადაიტანონ მაგნიტური ქარიშხლები.

საქმე ისაა, რომ „კაპილარს“ შეაქვს ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებანი, რომლებიც გვეხმარება მუდმივად შევინარჩუნოთ გულისა და სისხლძარღვების სწორი მუშაობა.

ხელოვნება

# გულნარა ბახტაძე



ძნელი დასაჯერებელია, რომ ჟურნალისტთა ძველი თაობის პლეადას გამოაკლდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსების ორდენოსანი, ქალბატონი გულნარა ბახტაძე.

ბევრ ჩვენგანს დღესაც ახსოვს ამ ფოტოზე აღბეჭდილი ახალგზდა ჟურნალისტის პირველი ჭაშნიკი. გაზეთ „კომუნისტში“ შედგა მისი დებიუტი, იქ გაიარა პირველი ჟურნალისტური წრთობა, იქიდან იწყება საინტერესო შრომისა და პროფესიული ძიების წლები.

ქალბატონი გულნარა ცხოვრების თანადროულობას ხუთ ათეულ წელზე მეტი ეხმიანებოდა პრესის ფურცლებიდან მაღალმხატვრული პუბლიცისტური წერილებითა და ნარკვევებით.

ამ ნაწერებში თვალნათლივ გამოსჭვიოდა მასში უხვად დავანებული ის უშურველი სიკეთე, სიყვარული და სათნოება, რომელიც ადვილად იკვლევს გზას ადამიანთა გულებისაკენ. ამიტომაც შემოინახა მკითხველის მეხსიერებამ დღემდე მისი ნარკვევებისა და მოთხრობების კრებულები: „მე და დედა“, „ღამის მაყარი“, „ლილისფერ გზებზე“, „ქვის სასთუმალი“, „კანფეტის რიგში“, „გზა სავსეა მოულოდნელობებით“, „როცა ასეთი სიყვარულია“...

გულნარა ბახტაძის ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები მაინც ჟურნალ „დროშასთან“ იყო შესისხლხორცებული, ის იყო მისი სულისჩამდგმელი და უცვლელი მეგაირახტრე. ბოლო ორი ათეული წელი რედაქტორის მოადგილედ და პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა.

ჟამთა სრბოლამ მეტი კდემამოსილება და სიდარბაისლე შესძინა მისი კალმის ნაყოფს და რაოდენ დასანანია, რომ შეწყდა მისი მაჯისცემა. თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ქალბატონ გულიკოსნაირ კეთილშობილ ადამიანებს ხალხი ძალიან დიდხანს ვერ ივიწყებს.

გვჯერა, რომ მისი სული სამარადჟამოდ დამკვიდრდება სასუფეველში.

გემშვიდობებით და მადლობას გწირავთ იმ ღვაწლისათვის, სიყვარულისა და სითბოსთვის, რომელსაც ასე უხვად გასცემდი, ჩვენო სათნო ქალბატონო და კოლეგავ.

საქ. ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“,
ჟურნალი „დროშა“.

---

შვილი გაგა ბახტაძე, შვილიშვილი გულიკო, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გულნარა ბახტაძე
გამოსვენება 6 VII, 15 სთ. ფანასკერტელის ქ. კორპუსი XI, IV სადარბაზო.

---

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება ახლო მეგობრის, უკეთილშობილესი, ღვაწლმოსილი მანდილოსნის
გულნარა ბახტაძის
გარდაცვალებას.

---

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ანზორ ჭითანავას ძმა
ჯუმბერ ჭითანავა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

# გაცემული სესხის დაბრუნება იწყება

**სახელმწიფოს მევალეებმა ბიუჯეტში ვალის დაბრუნება დაიწყეს. საუბარია 2008-2009 წლებში განხორციელებულ „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში გაცემულ თანხებზე, რომელიც მთავრობამ 7 წლის ვადით, საკმაოდ დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცა.**

ორი წლის განმავლობაში სახელმწიფომ იაფი კრედიტის ფარგლებში სულ დაახლოებით 65 მლნ ლარი გასცა, მათ შორის 62,4 მლნ ლარი 2008 წელს, ხოლო 2,4 მლნ ლარი 2009 წელს.

ფინანსური კრიზისის ფონზე „იაფი კრედიტის“ პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებს თანხის გადახდის პრობლემა შეექმნათ, რაზეც მთავრობამ იმსჯელა და საშეღავათო პერიოდი ერთი წლით გაუხანგრძლივა. რიგი კომპანიებისათვის ამ დროისთვის საშეღავათო პერიოდი უკვე ამოწურულია და ბენეფიციარებმაც ვალის დაბრუნება დაიწყეს.

„იაფი კრედიტის“ ფარგლებში კრედიტით სარგებლობის მაქსიმალური პერიოდი 7 წლით, ხოლო საშეღავათო პერიოდი 2 წლამდე განისაზღვრა.

„იაფი კრედიტის“ ფარგლებში ყველაზე მეტი პროექტი 2008 წელს დამტკიცდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008 წელს 117 პროექტი, ხოლო 2009 წელს 16 პროექტი დაფინანსდა.

2008 წელს „იაფი კრედიტის“ მოთხოვნით ეკონომიკის სამინისტროს 1431 ბენეფიციარმა მიმართა, რომლებიც 380 მლნ. 500 ათასი ლარის პროექტების დაფინანსებას ითხოვდნენ. საერთო ჯამში კი მთავრობამ გასულ წელს 117 პროექტი დააფინანსა, რომელთა საერთო ბიუჯეტიც 62 ათას 400 ათასი ლარია.

ჯი-ეიჩ-ენი

## ყველაფერი ყველაფერზე

### პოლ პოტის „დიდი სოციალური ექსპერიმენტი“



რა უბედურება არ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ კამბოჯაში (შემდეგ მას კამპუჩია დაერქვაძ განხორციელებული „დიდი სოციალური ექსპერიმენტი“ მაინც სხვა იყო.

1970 წლის მარტში კამბოჯაში გადატრიალება მოხდა: პრინც ნოროდომ სიანუკის კანონიერი მთავრობა დაამხო ამერიკული ორიენტაციის პარტიამ გენერალ ლონ ნოლის ხელმძღვანელობით დაიწყო სამოქალაქო ომი. 1975 წლის აპრილში ეს მთავრობაც შეიცვალა. „წითელი ქხმერების“ ექსტრემისტული პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პოლ პოტი და მისი ცოლისძმა იენგ სარი, ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა.

პოლ პოტმა და იენგ სარიმ გადაწყვიტეს, განეხორციელებინათ „დიდი სოციალური ექსპერიმენტი“ — შეექმნათ „ახალი საზოგადოება“, სადაც არ იქნებოდა არც კლასები, არც ფული, არც ტრადიციული რელიგია და კულტურა, გაუქმდებოდა ადამიანებს შორის ძველი ურთიერთობა. განხორციელებული „რეფორმების“ შედეგად მოსპეს სამი მილიონი კამბოჯელი (სულ ქვეყანაში იყო რვა მილიონი მცხოვრებიძ, ამდენი ადამიანი არა გვჭირდებაო.

„წითელი ქხმერების“ ლიდერი განსაკუთრებით გადაემტერა ქალაქებს. „ეს ხომ მანკიერების ბუდეა — ამბობდა პოლ პოტი — სწორედ აქ არის გაბატონებული ფული და კომერცია, ეს კი ადამიანებს ხრწნის. აი, ამიტომ გვინდა ქალაქების გაუქმება“. ქალაქების მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოფლებში გადაიყვანეს და ე.წ. „შრომითი ბრიგადები“ ჩამოაყალიბეს. თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს ინტელიგენცია, როგორც ისეთი ელემენტი, რომლის „ხელახალი აღზრდა“ შეუძლებელი იყო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ქვეყანაში დარჩა სულ ორი ადამიანი, რომელსაც იურიდიული განათლება ჰქონდა.



### ეს რა ულუფაა: 200 გრამი ცხენის ხორცი?!

ფრანგული კინოს ვარსკვლავი ჟერარ დეპარდიე თავისი მრავალრიცხოვანი კოლეგებისგან ერთი უცნაური ამბითაც გამოირჩევა: მას მხოლოდ ექვსკლასიანი განათლება აქვს. თავის უკიდურესად ღარიბ ბავშვობას დღევანდელი უდიდესი ქონების პატრონი ყოველთვის სევდიანად იგონებს: „შინ ხორცს მხოლოდ თვის პირველ კვირას გვაჭმევდნენ და ისიც იმის გამო, რომ დახმარებას ვიღებდით. ხშირად ხელში კალათს მომაჩეჩებდნენ ხოლმე და ყასაბთან მგზავნიდნენ. აი, იქ კი დიდი დამცირება მელოდა. ყასაბი პირდაპირ მომმვარდებოდა ხოლმე: „რატომ მამაშენი არ მოდის? მოვიდეს ერთი, ვნახო!“ მე ჯერ თავს გავიქნევდი ხოლმე, შემდეგ კი ვეკითხებოდი, მომცემდა თუ არა 200 გრამ ცხენის ხორცს. ამ სიტყვების წარმოთქმა პირდაპირ საშინელება იყო“.

რას წარმოიდგენდა ის საწყალი ბიჭი, რომ მრავალი წლის შემდეგ საფრანგეთში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი გახდებოდა, რომელიც დღეს ნავთობს



ფლობს, ღვინის დიდი წარმოება აქვს, რეჟისორები კი პირდაპირ რიგში დგებიან და დიდად კმაყოფილი რჩებიან, როცა დეპარდიე მათ ფილმებში მონაწილეობაზე თანხმდება. თუმცა სჯობს თვით მსახიობს მოვუსმინოთ: „ჩემი ნამდვილი სიმდიდრე ისაა, რომ მშობლები არასოდეს მორალს არ მიკითხავდნენ, მყავს ცოლი, რომელიც 19 წლის ასაკიდან მიყვარს, ბავშვები, რომლებიც არასოდეს ინატრებენ ფულს. ჩემი ნამდვილი სიმდიდრე ის არის, რომ არასოდეს ავურევ ხელოვნურად გაკეთებულ ღვინოს ნამდვილისგან, კასრებში რომ ინახება“. საქმე ისაა, რომ შატო დე ტინიეში დეპარდიეს ვენახი 27 ჰექტარს შეიცავს, წლიურად 60 ათასი ბოთლი წითელი ღვინო რომ გამოდის. აქედან ორი ათასი ბოთლი ამერიკაში იგზავნება გასაყიდად. მოდი და ნუ გაიხსენებ იმ 200 გრამ ცხენის ხორცს, რომელიც მარტო პატარა ბიჭს კი არა, მთელ ოჯახს რომ უნდა ყოფნოდა!

მოამზადა **გივი გამრეკელმა**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8441 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3068 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8027 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9117 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0156 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2942 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3317 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1699 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7235 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +22 – +36 |
| ქუთაისი. | +22 – +30 |
| ბათუმი. | +20 – +28 |
| ზუგდიდი. | +22 – +28 |
| თელავი. | +20 – +33 |

## ანეკდოტები

— რატომ იმატებენ ხელფასებს დეპუტატები მაშინ, როდესაც ბევრ მათგანს ისედაც დიდი „ალტერნატიული შემოსავლები“ აქვს?

— იმიტომ, რომ უკეთ მოემზადონ იმ დროისთვის, როდესაც პატიოსნად ცხოვრება მოუწევთ.

* * *



— ნიკა, ერთი ათი ცალი თეფში მომიტანე! — გასძახა მარომ შვილს.

— რად გინდა ამდენი თეფში?

— მამაშენთან სალაპარაკო მაქვს.

* * *

გოგო გულამოსკვნილი ქვითინებს.

— რა მოგივიდა, შვილო, ქმარი გღალატობს? — ეკითხება დედა.

— განა მარტო ქმა-ააა-რიი!

* * *

რა მძიმე ცხოვრება აქვთ მეძავებს: სამუშაოსგან თავისუფალ დროს მათთვის გასართობი საშუალება არ არსებობს.

* * *

მიხოს სიხარულისგან ხტუნვა უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან მხარზე სიდედრის მძიმე კუზო ედო.

## დღის კალენდარი

## 6 ივლისი

ხსენება მოწამისა აღრიპინასი (253-260ძ; მოწამეთა: ვესტოქისა, გაიოზისა, პროვოსი, ლოლისა, ურბანისა და სხვათა (IVძ; ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა (1480ძ.



ამოდის 04.31
ჩადის 19.39



ამოდის 22.34
ჩადის 10.11

### დაიბადნენ:

**1796 — ნიკოლოზ I,** რუსეთის იმპერატორი. გარდაიცვალა 1855 წელს.
**1896 — მაო დუნი,** ჩინელი მწერალი. გარდაიცვალა 1981 წელს.
**1935 — დალაი-ლამა (თენზინ გაიათსოძ,** ტიბეტელი ხალხის საერო და სასულიერო ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1940 — ნურსულთან ნაზარბაევი,** ყაზახეთის პრეზიდენტი.
**1946 — ჯორჯ ბუში-უმცროსი,** აშშ-ს 43-ე პრეზიდენტი.

### გარდაიცვალნენ:

**1533 — ლუდოვიკო არიოსტო,** იტალიელი პოეტი.
**1535 — ტომას მორი,** ინგლისელი მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე.
**1893 — გი დე მოპასანი,** ფრანგი მწერალი.
**1962 — უილიამ ფოლკნერი,** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

**1923 წელი** — საბჭოთა კავშირმა პირველი კონსტიტუცია მიიღო.

ღირსსახსოვარი დღეები:
**კოოპერატივების საერთაშორისო დღე.**
**ლიტვა** — სახელმწიფოს დღე.
**მალავი** — დამოუკიდებლობის დღე.
**ლესეტო** — ოჯახის დღე.
**ჩეხეთი** — იან ჰუსის დაწვის დღე.

**მედიანიუსი**

## წერილი რედაქციას

### იმედი არასდროს ჩაქრება

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით უდიდესი მადლობა გადავუხადო სადაზღვევო კომპანია „ვესტის“ ხელმძღვანელობას, კერძოდ, გენერალურ დირექტორს ბ-ნ ავთანდილ ავლოხაშვილს, სამედიცინო სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს, რომელმაც მე და ჩემს მეუღლეს დიანა კიტოვანს სიცოცხლე შეგვინარჩუნა. ჩემს მეუღლეს ორჯერ დაუფინანსეს ოპერაცია, ჯერ თვალის საცრემლე ჯირკვლისა, შემდეგ — კატარაქტზე, მე კი, გულის შუნტირებაზე ჩაფიძის კლინიკაში. უდიდესი მადლობა „ვესტის“.

სანამ ასეთი ადამიანები არსებობენ, იმედი არასდროს ჩაქრება.

პატივისცემითა და მოკრძალებით
**დემურ და დიანა კიტოვანები**
სენაკი.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.